“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№5 (282)
მაისი
2022 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეოთხე წელი "LITERATURULI MESKHETI"

მესხთა მემუარები

ციური ასპანიძე-მესხიშვილისა

ეჰეჰეი! – მე მესხი ვარ, გესმით, მთებო, ჩემი ხმა ?!
მუმლი მუხას არ შორდება, – მუხის ტოტი შემიხმა!..
ეჰეჰეი! – მიტომ გიხმობთ, ამირანის გორიდან,
წუხელ, რაღაც უცნაური, თოვლის წვიმა მოვიდა!..


ვარძია

აბულზე მზე ამოვიდა, – წვიმით გაჩნდა ღარები,
სამსრის სერზე გადავშალე მესხთა მემუარები...
ეჰეჰეიი! – ბანს მაძლევენ: ჩახრუხაძე, თმოგველი,
ვ ა რ ძ ი ა შ ი მოდიოდნენ შობის ღამეს მოგვები...

მოეწონათ ჩემი მხარე, – ,,გვაქვს უთვალავ ფერითა,“
,,დავჯექ წერად ანდერძისად“ – რუსთაველის ენითა:
მინდა ცხენით ავაფუტო თორელების თავლები
და ყიჟინით გავაღვიძო დიდი მხედართმთავრები!..

ეჰეჰეიი! – დავძახო და ავამღერო ხეობა:
,,ვარძიობა-ძიობასა,„– თამარ მეფის დღეობას...
შენ, ძვირფასო, ალმაცერად და ირიბად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი, – ვარძიის კლდის
პირიმზე!..

ხან ჩიტიც ვარ, ხარისთვალა, აქ მაქვს ჩემი ბაღდადი,
მონასტრებად გამოვთალე სამცხის ქვათა ღაღადი!..
ვანის ქვაბზე ჩიტი რომ ზის, ყელი მოუღერია...
მონაზონი სატრფო იყო, ერთხელ არ უმღერია!..

ეკლესიის თაღს შესწირა ფატა – ლურჯი წულისა,
ეს ქვაბები თვალებია დემნა უფლისწულისა!..
ყაყაჩონი რად ტირიან დღემდე ბერთა ყანაში?! –
უფლისწულმა ვერ მოასწრო დედოფალთან თამაში!..

იქნებ ჯობდა, ან არ ჯობდა?! – ეჭვი შემაქვს ამაშიც,
დიდმა მეფემ რომ დასაჯა ის ლიპარიტ ბაღვაში?!..
დღეს ჯავახეთს ისევ უჭირს, ცოცხლობს მხოლოდ
ლოცვებით,
მეფისნაცვალი რომ ვიყო, ისევ გავაცოცხლებდი!..

შენ, ძვირფასო, ალმაცერად და ირიბად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი, ვარძიის კლდის პირიმზე!..
ვინ გაიგო, აბა, მესხის ღალატი და სიმცირე?
შინ რომ ცრემლად ვიღვრებოდით, – გარეთ
გამოგიცინეთ!..

შენ რა გესმის, რა სევდაა, ლაკლაკების ღაღანში,
ან მზე რატომ იმალება ჭანჭკარების მარანში?!..

ყველა მესხი გმირი იყო, განა ნაცარქექია,
ხერთვისში რომ თუთა მწიფობს, – შემოდგომით
ღმერთს მიაქვს!..

თუთის ტყლაპის ეტრატებით, თამარ მეფის
დროშებით,
ბასიანში ფეხაკრეფით მიდიოდნენ ქოშებით...
ცხრაფურცელა უფლის ქადა, სეფისკვერს რომ
უდრიდა,
ზიარებად მიჰყვებოდა, მეფის ლაშქარს წუნდიდან!..

დიდი ბექას სამოსახლომ, – ჯაყელების საფარამ,
ღ მ ე რ თ ი მტერს რომ გამოექცა, მაშინ აქ შეაფარა!..
შენ, ძვირფასო, ალმაცერად და ირიბად ნუ მიმზერ!
 მე მესხი ვარ, კერპი ქალი, – ვარძიის კლდის
პირიმზე!..

ახლაც ვტირი და მივტირი არჯანაში – არჯაკელს,
როსტევანის თინათინი, – მტერთან უნდა ავჯანყდე!..


ახალციხე

მე დედა ვარ, ბრწყინვალისა, – დიდი ბექას ნათელა,
ლომსიიდან საფარაში მთვარის ამონათება...

მ ე ს ხ უ რ მრავალჟამიერით მზე მღეროდა
,,დილოვდას,“
ღვთით გიორგი, მბრწინავ მეფედ, სამცხეს
აღიღილოვდა!
ფარავანის ცრემლში ცურავს დღემდე
ფოკა-ხერთვისი,
ქრისტე ღმერთმა დაიფაროს, მისი აწმყო, მერმისი!..

დრო იყო და თავის ჯავშნით გაუმკლავდა კუ-ურდოს,
ღმერთი, ჭოგრიტით უმზერდა გუმბათმოხდილ
კუმურდოს...
დაუძლურდა, მიწად იქცა, ობისაგან ზარები,
მნათეებად მაინც სხედან ოშკში, ოპიზარები!..


თმოგვის ციხე. ნახატები დიუბუა დე მონპერესისა, 1843 წელი

ჭრელ ჩიქილას აფრიალებს: ჭულე, ზარზმა, ჩორჩანი,
შორეთში რომ ისევ ყვავის ოქროს ციხის შროშანი...
შენ, ძვირფასო, ალმაცერად და ირიბად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი, – ვარძიის კლდის
პირიმზე!..

ჰო! კრავაი ჯაყელი ვარ, – დაგავიწყდეთ არვისა!
და მშვიდობის მოციქული, თამარ მეფის კარვისა!..
ვარდს ბულბული შეუყვარდა, მზეს ცეცხლი
სწვავს ალვისა, –
ლიონიძეს ტრფობა ჰკლავდა, ათაბაგის ქალისა!..

რა? – აწყური დაგავიწყდათ, თუ ერეკლეს ასპინძა?!
ხიზაბავრის მზე რომ ჰყავდა მეფის ლაშქარს
მასპინძლად!
ჰო, მოიცა! – შიკრიკია, თეთრი ცხენით მოვიდა...
სლესის ციხეს უკაკუნებს,– სტუმარია თორიდან!!..

ხედავ?! – ჩემი მაშველია, ალმაცერად ნუ მიმზერ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი, – ვარძიის კლდის
პირიმზე!..
განა კოცნით გადამიცვდა კაბის თეთრი საყელო?!..
ხან ,,მზეშინას“ გიმღეროდით, – ხან ვმღეროდი
,,სამყრელოს“...

შავლეგომაც შემოსძახა ერთ დროს ,,მამლი მუხასა,“
წონწილებს, – ვერ წაიქცევა!.. ხმალს მოიქნევს
უხმარსა!..


აწყური

ეჰეჰეიი! – გაიღვიძე, პაწაწინა ნამყენო!
შ ა ვ ლ ე გ ო და მისი ცხენი, უნდა გადააყენო!

ალმაცერად რად მიცქერი, ვერ მიცანი ღიმილზე?!
ჰო, ვარძიის შროშანი ვარ, – სისხლიანი პირიმზე!
ეჰეჰეიი! – მე მესხი ვარ და ვირჩევი სიფრთხილით!
გახსოვთ? რუქნადინის ლაშქარს, როგორ
გადმოგიფრინდით?!

სიზმარში მყავს მხოლოდ სატრფო, – ცხადში მსგავსი
სად არის?!..
შ ა ვ ლ ე გ ო და გ ე ლ ა ბიჭი, – მესხთა
მთავარსარდალნი!..
თეთრი ცხენი დამესიზმრა, წუხელ, ფაფარაშლილი!
დიდუბიდან ხელს მიქნევდა დიდი თამარაშვილიც!..

თქვენ, ძვირფასო, ალმაცერად და ირიბად ნუ
მიმზერთ!
მე მესხი ვარ, კერპი ქალი, – ვარძიის კლდის პირიმზე!

ქშოლდუბით გაჩდაუვალობა ბუმერანგისა

მიწიერ-ზესიერცობრივ-ვარსკვლავეთური დისციპლინაა ბუმერანგი, თვით სამყაროს უმაღლეს მრავალ თვისებებსაც რომ უსწრებს საოცარ-საკვირველი კანონიკურ-კანონია, მიუკარება ხილულ-უხილავი, მტკიცედ გაცხადებული შეკუმშულ მართალი, ალალ-ქმედებითი ხმა და ძალაა ქვეყნიერებისა...

ვარსკვლავეთის, კერძოდ, ჩვენი მიწა პლანეტის ყოველთა უტყუარი კანონ ურთიერთობა პირდაპირი გამხელა ბუმერანგია, რომლის სამართლიანი მოქმედება კოსმიურ-სისტემურია.

დამოუკიდებელი სიმართლე ბუმერანგი სიკვდილ-სიცოცხლეში უთუოდ არსებობს და, რა თქმა უნდა, ომსა და მშვიდობაშიც გმირულად დაჰქრის,

„ბუმერანგისა, სამართლიან კანონიერ ქურდებსაც ერიდებათ“ (რიდი აქვთ).

ყოველგვარი ბარბაროსული ომი, კოსმიურ იდუმალებითი აგრესიაა, რომელსაც ახლავს დიდი უარყოფითი ძალა. მისი შეკავება? მხოლოდ სამყაროსეული მარადიული სიკეთე თუ გასცემს საკადრის პასუხს. შესაძლებელია დღევანდელი რუსეთის ამდაგვარი უღმერთობა დედამიწის ურთულესი ცეცხლოვანი მარადიული პრობლემაა, რომელიც სივრცის, ბუნებასა და ჩვენ შორის არსებული უმძიმესი ავთვისებიანი დაავადებაა, რასაც, თავის დროზე, უხილავი ბუმერანგი დაუპირისპირდება: ადამიანებო! გახსოვდეთ, ბუმერანგის დროული გარდუვალობისა!.. მის იდუმალ ძალას და ქმედებას

თუ ხვალ არც არავინ გადაურჩება. ამ განჩინებაში არ მოვყვები მრავალ დამპყრობთა ჩაჟამულ ბედს, თუ როგორ ეკვეთა მათ იგივე თვისებებ ფუნქციები, რაც პირადად გააჩნდათ ეშმაკეულის დონეზე, ზნეობრივად მაღალთ, თავიანთი ღირსებითი საამო უტყუარი ბუმერანგი გააჩნიათ: ნებისმიერ მაგ გარდაუვალობას ვერავინ გაქცევია და ვერ გადაურჩება მის მზის სხივებრ სისტემურ შემოჭრას. მაშინ ვეცადოთ, ზოგიერთი ისტორიული მაგალითი მოვიყვანოთ. ალექსანდრე მაკედონელს, ხალხთა სისხლში მოცურავეს, სრულიად ახალგაზრდას, როგორი საშინელი ბედი ეწია. რატომღაც, ზოგთა სიამაყე ნაპოლეონს, შუმერების და ხეთების სიცოცხლის სამუდამოდ ჩამქრობთ. სიკვდილთან მიმართებაში ფარაონებსაც ვერ უშველა პირამიდებმა და დიდმა ღვთიურმა ხელოვნებამ; ტროას მიწაზე გამასწორებელ დამსამარებლებს, დიდება სიმართლემ ქართველთა მტერ სატანა შაჰ-აბასს განგება ბუმერანგმა თავისი ბინძური შიგნეულ-ნაწლავები სიკვდილად მოასაქმია. არ დაკლებია ბუმერანგის სამართალი უძველეს კოლხთა წამშლელებს, კაცობრიობის უპირველეს საწყისი ცივილიზაციისა. საშინელება მტარვალ ჰიტლერს და მის თანამოაზრეებს, უსასტიკესი და სამარცხვინო სიკვდილით რომ ეკვეთა, როგორი უმძიმესი ბედი შესთავაზა თავადვე ხალხმა, რუსეთის იმპერიის მეფეს – ნიკოლოზს და მის მრავალრიცხოვან ოჯახს, უკანასკნელი დამნაშავეების დონეზე რომ გამოასალმეს წუთისოფელს

ლივე ხომ სამყაროს ზნეობრივ ურღვევი კანონმდებლობაა და ვერავითარი ძალა, მოქმედება წინ ვერ უდგას. თუგინდაც შეიკრიბნენ უმაღლეს აღმსარებელნი სერობად, – იესო ქრისტე, ბუდა, იუდა, ალაჰი და მრავალი რელიგიური სექტა დამოუკიდებელნი, მათ ზეციურ საჩივარ-განკითხვას ყურთანაც არ მიიკარებს. ასეთია ზნეურყევი ბუმერანგის სივრცობრივ კანონიკური მოქმედებათა გარდაუვალობა. ამ ფორმის მოვლენები ჩვენს პლანეტაზე მრავალია უხსოვარ დროიდან დღემდე, მართალი ბუმერანგი არავის ისტორიათ გამომსწორებელი და ჭკუის მასწავლებელია, ის მხოლოდ უკიდურესად საკადრისის მაგიერის მომხდელია, რასაც ვერცერთი ღვთიურ-ადამიანური კანონმდებლობა შეაჩერებს და ახლოსაც ვერ მიუახლოვდება; ამიტომ ბუმერანგის სრული დიდება-აღიარება ცამდე მწვდომი სიმართლეა, კაცობრიობის სამივე დროის მარადიულ ისტორიაში. ძალა დიდი, ჩვენგან შეცნობილი უძველესი და უმტკიცესი ნებისმიერ რელიგიაზე, უცვლელ ურყევ ნაღდი მაღალზნეობრივ შემსრულებელ (ყოველგვარი ლოცვის და თხოვნის გარეშე) უსაზღვრო ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ...

განა ნამცეც-მისხალიც აპატია პლანეტის და კაცობრიობის ოდითგან დღემდე და მომავლის სამუდამოდ უპირველეს ქალს, მედიცინის საწყის დაუსრულებლობას? ასევე ქურდ-თვალთმაქც მიმტაცებელ-მატყუარა და მოღალატე-უზნეო

ვის მიუღწევია მაგ უსასტიკეს შედეგამდე ველური თვისებით, უმძიმესი სენით და სასტიკი ბოროტებით. თუმცა, ზოგიერთ ატარტაროზებულ იმპერიას ჰქონდა გარკვეული სატანისტური მიღწევები; ერების და ქვეყნების დამონება-განადგურების ფონზე, ყოველივე ხომ სიკვდილითაც ამოუძირკვავი და უმახინჯესი ფსიქოლოგიაა ადამის მოდგმისა, რომელსაც წინ უძღვის კაენის ძმათა მკვლელის მახინჯ-უზნეობა. ეტყობა, კაცობრიული ჰუმანიზმი სუსტია ამ შემთხვევაში, ნებისმიერი რელიგიებისა არ იყოს, მაგრამ მაღალ ზნეობრივი ჭეშმარიტება საბოლოოდ ყველაფერს და ყოველივეს აწესრიგებ-აწონასწორებს ურყევ სამართლიანი უკუბუმერანგის მეოხებით.

შოკირებული „კაცობრიობა დღეს გაოგნებულია“. ნუთუ რუსეთის ბოროტ გზაზე დამყენებელს, რომელმაც 2008 წელს, უდანაშაულო, დამოუკიდებელ ქართველთა ქრისტესმიერ სისხლში დოპინგირებული სპორტიული ჟინით რომ იცურავა, შერჩებოდა მას? არა! და, კიდევაც, მან შეიმზადა უმაცრესი მომავლის ბუმერანგი, უკრაინაში სამარცხვინო გალაშქრებით. ყველაზე უსასტიკეს მტერს ისე არ მოექცევიან, როგორც რუსეთის პრეზიდენტი და მისი კაცთ-მგუდავი ჯალათები მოქმედებენ კეთილშობილ უკრაინაში.

„ჩვენს თავს ერთი და იგივე განაჩენი უნდა გამოვუტანოთ, ბოროტები ვართ, ბოროტები ვიყავით და ბოროტები ვიქნებით!“ – *ლაციუს-ანეუს სენეკა*

უფლის სიდიადეც ვერ შეცვლის, რათა ვარსკვლავეთურის უსასრულობის სამართალ ქმედითიანობაა...

მუდმივ მიუწვდომელი კანონიკური ბუმერანგი არანაკლებია ათი მცნებისა, მეტი თუ არაა; რათა ის წმიდათა-წმიდა სამყაროსეულ-გლობალური უცნაურ ანარეკლ-სარკისმიერი უკუმხედ თვისებებისაა:

ყოველივე და ყველაფერი შენგან გასული ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურში თავადვე უკლებლივ უკან გიბრუნდება. ამ შემთხვევაში არც ღვთის მოქმედებაა და, ასევე, სხვა რომელიმე მრავალ ადამიანურ თვისება სახისაც. მაგდაგვარი მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნიერების მეცნიერულ ღრმა საიდუმლო თვისებებიდანაა მომდინარე; მომლოდინე ადამიანო, ყოვლად შეუძლებელია შენგან ქმნილი სიკეთე სიკეთითვე არ დაგიბრუნდეს; ბოროტება – მისივე სახითვე; მოგეგება წმიდანური კეთილშობილება? – უმოკლეს დროში თავადვე მოგივა; თითქოსდა უბრალო კეთილი ღიმილი სრულიად იგივე ფორმა გამამხნევებელი სითბოთი გეახლება. შენგან მრისხანებას წამოსულს ხომ უფრო უარესს უმძიმესი აგრესიული სახით მიიღებ. სიყვარულს? – წარმოუდგენელია, რომ სიყვარულითვე არ შეხვდნენ.

გძულს ახლობლები, მეგობრები, ნათესავები, საზოგადოება? – უმალ ელვასავით იგივე საპირისპირო სულიერი უარყოფითი მოძრაობა შენთანაა მისჯილ-ანთებული. ახლა კი, ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ მაგალითს შევეხოთ: ძმაკაცს, სამ-ხუთჯერ „ლომოს“, დაუძახებ და მეექვსე შეხვედრაზე იგივე უკუსიბოთი, ვალდებულივით „ლომოთი“ მოგმართავს. ანდა, დამამცირებელ სახელს შეჰკადრებ? – უახლეს დროში უხილავი ძალა მისგან იმავე მწარე განაცხადს გარგუნებს. ყოველივე ეს უცნაურ-უტეხ-უცვლელი მუდმივი კანონია ჩვენს ირგვლივ თავისებურად მკაცრი წრიულ-მბრუნავი ბუნებისა, რომელიც მტკიცე კანონიკურ ვარსკვლავეთურს წარმოადგენს. ბუმერანგს ღებულობენ უკლებლივ ყოველი უბრალო ადამიანები, დიდი და გენიოსებიც. ამ უცნაურობის ქმედება გარდაუვალი იყო სახელმწიფოებისა, იმპერიების და აღზევებულ გაბოროტებულ-დამპყრობი სარდლების მიმართ. მათგან ვერავინ გადარჩენია მას და დღეს

და იქვე მათ ირგვლივ უდრეკი ბუმერანგი ცისფერ დროშას აფრიალებდა. ბრძენთაგან ნათქვამია, – კაცის მკვლელს ბუმერანგ პიროვნება კლავსო და სრულიად სამართლიანია.

როდესაც უბოროტესი პიროვნება ამ ქვეყნიდან გაბიძურინდდება, იტყვიან, სამართლიანად ჩაძაღლდაო. რატომ აყენებენ შეურაცხყოფას მაგ კეთილ ცხოველს და ადამიანის უღალატო მეგობარს? ამ შემთხვევაში უფრო მიესადაგება გამოითქვას: ჩაგველდა, ჩამორიელდა, უკუნეთად ჩაშავდა ან, უნდა ითქვას, – შხამმა მოუსავლეთისამ, ჩაყლაპაო. საკადრისად დაისაჯა გველი ჯალალედინი – ის ხომ უფრო და უარესის ღირსიც იყოო სამყაროს სამართლიანი განაჩენისაგან?

საერთოდ, ქვეყნიურ ბუმერანგს, ვერცერთი რელიგიურ-სულიერ გონებრივი თუ მეცნიერული იურიდიული უმაღლესი მიმართება ვერ გაუტოლდება, ყოველგვარი ღვთიურ-ადამიანური გადაწყვეტილებები მასთან ხომ უძლურია, როგორც სინამდვილე, წარმოსახვის წინაშე.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი სახე-ფორმის ბუმერანგი ბერძნების შორეული წარსულის ისტორიაშია ჩაკირული. ერთ დროს ბერძნები თავიანთი მერყევი, უნაყოფო ბუდიდან აყრილნი მოზღვავდნენ და ბარბაროსულად შეესივნენ კოლხური უძველესი ცივილიზაციის ტომებს, კერძოდ, პელაზგებს, ეტრუსკებს და მათ მიწა-ნოყიერ მამულებს კაჭკაჭებივით დაეპატრონნენ და სამუდამოდ დასახლდნენ, თითქმის ჩაყლაპეს ადგილობრივი ხალხი და მათთვის უცხო კულტურა, მენტალიტეტი, ხელოვნება გაითავისეს. აქ კი, თავის დროზე, უფრო მტკიცედ და მძაფრად ამოქმედდა კანონ-სიმტკიცე და, როგორ? შუა აზიიდან დაიძრა თურქმენული მომთაბარე ერი და ველური სკვითებივით შეესივნენ უკვე აღზევებულ ბერძნებს, საუბედუროდ, არ დაინდეს ანტიკური ხელოვნების ფილოსოფიისა და მეცნიერების ნიმუშ-შედევრებიც, წალეკეს და აყვავებულ ქვეყანას გადაუარეს ადიდებულ-ატალახებული მდინარესავით. თურმე, არ არსებობს განურჩევლად მიუკარება, მართალ თვისებით – პატიება ბუმერანგისა, ამდაგვარია მისი ვარსკვლავეთური უდრეკი მისია, მზესავით მარადიულ გაუცვეთავისა...

დამჭირდა და მერამდენედ უნდა ვთქვა, ყოვე-

იაზონს?! უსაზღვრო ბუმერანგმა მათში ჩვეული და ორგანული წესებით ყველაფერი კანონიერად აღასრულა. იაზონს დაუხოცა შვილები და მედეამ თავის თავსაც მიუზღო კოსმიური მიუკარება განაჩენი, რითაც დასაჯა თავისი საშო. მედეამ ხომ იაზონს და თავის თავს მოუკლა შვილები, შედეგად სიბნელიდან გამოსული უზნეობის სანსალიდან. არაადამიანურობიდან გამოჯუჯებული ღალატით მისი შემცვლელი, მკაცრ-უჯიუტესი მეფის ასულიც, რომელსაც სიკვდილის სამოსი ჩააცვა. ასევე, არ აპატია ბედკრულმა სამშობლომ და მედეა ხანგრძლივ სიკვდილამდე (ფიზიკური) სულიერად ეწამა უცხო მიწაზე, კოლხთა მოპირისპირე ხალხთან, რისგანაც იშვა ბიბლიური კაენისეული უზნეობა: მათ ირგლივ დღე და ღამე შეუსვენებლივ არეგულირებდა ზნეობა-უზნეობის საკითხების ბუმერანგი და არავის არ პატიობდა შეცდომას, უზნეობას თუ შემთხვევითობებსაც. კოლხ მედეას ვერ უშველა კოსმიურმა უმაღლესმა წმიდა სიყვარულმაც, რათა ჩვეულებრივზე დაბალ ზნედაცემულ ბარბაროს იაზონს რომ არგუნა... უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მაღალი ზნეობით თუ დაბალით, განვლილი ყოველგვარი ქმედებანი კანონმდებელმა უკონტროლოდ არ დაუტოვა და კაცობრიობას შემოუნახა ყოველთა სისასტიკის მოგონებანი. ქურდ და მიმტაცებელ ბერძნებს, კერძოდ, იაზონს სისხლიან რომანტიკოსს, ვერ უშველა ლეგენდარულმა გმირმა ზეადამიანური სიძლიერის ჰერკულესმა. შედარებისთვის დღევანდელი უძლიერესი იარაღის ტოლმა, სისხლისმღვრელ-მსმელმა ადამიან-არსებამ. ისიც უკვალოდ გაქრა იდუმალი ძალისგან, კოლხეთის საოცრება ლეგენდარულ მიწაზე. ასე და ამგვარად, შავმა ძალებმა დროებით გაანადგურეს მეფე აიეტის მედეა და კოლხეთის უპირველესი ცივილიზაცია. დიახ, მეგობრებო, უცილოდ ყოველ ადამიან-პიროვნებას, ერს და უძლეველ გმირს, მუდმივ-განუყრელად დაყვება, სიკვდილისა არ იყოს, საკუთარი ქმედებისმიერობით საკადრისი მზესავით მიუკარება ბუმერანგი, რითაც სუფთავდება პლანეტა უსაშინლესი ჭუჭყისაგან...

ჩვენს ეპოქაში ისევ თუ გაიღვიძა საშინელმა სიავემ და სწრაფვამ, მსოფლიოს ხალხთა ბატონობისკენ, მცდართა ხროვამ საღად იფიქროს, რათა ისტორიის მრავალ ათასწლეულებში ვერა-

(რომაელი).

„რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია!“ – *მორგენშტეინი.*

ყოველთვის მიკვირდა, ამ აზრების დამწერ ფილოსოფოსებმა თუ მწერლებმა, ნეტავ რა იხილეს ადამიანებში ისეთი გამაოგნებელი საშინელებამეთქი, მაგრამ ამჟამად რაც ხდება უკრაინაში, – თუ როგორ სპობენ უდანაშაულო მშვიდობისმოყვარე ხალხს, უკვე არ მაკვირვებს, რათა ჩვენი, მესამე ათასწლეულის გამანადგურებელი საშინელება რომ ენახათ მაგ „ღრმად მოაზროვნეებს“, უთუოდ მკაცრ შეფასებას უფრო მძაფრად დაწერდნენ, ხოლო თავად მე არ ვიცი, როგორ დახატულ აზრებს მოგვაწვდიდნენ, თავად ვერ ვპოულობ შემადარ აზრთ სიტყვებს, მაგ უმძიმესი სურათი მათსავით სრულყოფილად რომ გამოვხატო. წარმოუდგენელი ყოველთ ამაზრზენ-აღმგზნებია რუსული დღევანდელი უაზრო აგრესია, მოძმე ხალხის, ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მიმართ. ულამაზესი ქვეყნის ქალაქები და სოფლები ხომ დაანახშირეს და მიწასთან გაასწორეს, ეს უკვე კაცობრიობის ერთ-ერთი მარადიული ნაწილის უკიდურესი დაუნდობლობა და განადგურებაა. ასე სასტიკად ქვეწარმავლებსაც არ გასრისავს ნებისმიერი აღმსარებლობის თუ ბუნებით ათეისტნიც.

„ადამიანს რომ შეექმნა ადამიანი, განა სირცხვილი არ დასწვავდა?“ – ამბობს *მარკ ტვენი.*

შემდეგ, მართლაც, ყოველთვის რომ სიძულვილი ჩემი თავის მიმართაც მწვავედ მეწყება, ადამიანად რომ გავჩნდი ამქვეყნად...

კოსმიურად აღელვებული „პლანეტა მიწა, შინაგანად ყოველმხრივ ემზადება მცირე ერების გადასარჩენად“. აქ უკვე ეჭვგარეშეა, უსასრულობის გადაწყვეტილება მიღებულია და პრეზიდენტი პუტინი ვარსკვლავური ჯიუტი სასჯელგარდუვალობის წინაშე დგას, როგორც დუჩე მუსოლინი და მრავალი სხვა.

ყოველგვარი ბოროტება უფრო დიდ სამაგიერო სიაევს შობს დედა ბუმერანგის მიუკარება კანონებით. ნუთუ ბატონ პუტინს არ ესმის სამყაროსეულ-კანონიკური უკუმძლე გარდუვალობისა.

„ძმათა ომში უზნეო ჯილდოებს არ იძლევიან, რათა ის სამარცხვინო ორმხრივი მა-

ერთგული მეგობარი

ნინო მზესელი

საღამოს პირი იყო, ბურთივით მრგვალი მთვარე წყნარად მოლივლივე ზღვაში ირეკლებოდა, რითაც ზაფხულის თბილ საღამოს განსაკუთრებულ ეშხს აძლევდა და ამ უნაკლო პეიზაჟით ტკბობის მსურველებს ანდამატივით ზღვისკენ იზიდავდა. თუმცა ძირითადად რესტორნების, კაფე-ბარების, ვერანდებისა და აივნებისკენ ექაჩებოდა ადამის მოდგმას, თორემ თავად სანაპიროზე სიხალვათე იყო. აქა-იქ შეყუჟული წყვილები ციდან ღამის ფარდის საბოლოო დაშვების მოლოდინში მუსაიფობდნენ, მერე თავიანთი საქმისთვის რომ უფრო გულდამშვიდებულებს მიეხედათ.

სმის მოყვარულები ზღვის სუნს არყისას ურევდნენ და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, რამდენადაც ეს სასმელმოკიდებულთათვის შესაძლებელი იყო, აი, იმ დონეზე სერიოზული სახეებით ლუღლუღებდნენ ძმობის, კაი კაცობის, ჭიქების ჭახუნისა და, დროდადრო, ამ სახელდახელო სუფრასთან გამეფებული ხვევნა-კოცნის ფონზე.

თითქოს მთლად უხალისობას არ უჩიოდა სანაპირო, მაგრამ ამ ხალხით იგი არ ლამაზდებოდა, პირიქით, რაღაცნაირად მძიმდებოდა, მწუხრდებოდა და ღამის მარწუხებში ეხვეოდა. სწორედ ამ დროს ზღვის კენჭები, რაღაც უჩვეულო ხალისით, ახმაურდნენ. სანაპიროზე „შლო პანცებში" თავისი ჩხირივით ფეხებწაყოფილი 7 წლის სანდრო მოაბიჯებდა. გვარიანად გახუნებულ წითელ მაისურზე ზღვის წყალში დასველებული ცხვირსახოცი ჩამოედო და ფეხდაფეხ ადევნებულ ერთგულ მეგობარს, საყვარელი ზღვის ქაფივით თეთრ ძაღლს, ეტიტინებოდა. ძაღლი მუდამ გადაყვლეფილი მუხლების სიმაღლეს სულ ცოტათი სცდებოდა და ისეთი ჭკვიანი იყო, სახელის ყოველ დაძახებაზე, ბიჭს ყეფით ეპასუხებოდა. მოდიოდნენ და მოჰქონდათ სიცოცხლე.

– ეეი... გახსოვს, ბოქულ! აი, ზუსტად იმ კაფის წინ გიპოვე, ლეკვობაში.

– ჰამ, ჰამ... თავის სტიქიაში იყო ბოქული და პასუხს ყეფით გამოხატავდა.

– გახსოვს? კაი ხარ, კაი, ბოქულ!– ბიჭმა ძაღლს ღიმილი შეაგება, მერე დანანებით გახედა სინათლით გაბრდღვიალებულ და სტუმრებით აჟრიამულებულ კაფეს და იმის ნიშნად, რომ შიოდა, ხელი გაუცნობიერებლად აყურყუტებულ კუჭს წაატანა. ძაღლმა, ხორცეულის სუნით აქსუტუნებული ცხვირი ჯერ კაფისკენ გაატრიალა, მერე ნაღვლიანი თვალებით გახედა ბიჭს და თავისი მოელვარე თეთრი კბილები მაისურის კიდეზე ფრთხილად ჩასჭიდა.

– ოოო... არა, ბოქულ, ჩვენ იქ არ გველოდებიან! განა არ გახსოვს, როგორ იციან ამ კუჭმაძღრებმა? უბოდიშოდ გამოგვაპანღურებენ, ფეხს თუ არ ავუჩქარებთ, ზურგს უკან ცოცხს მოგვაწევენ და კაი ჯიშიან ქოქოლასაც მოგვაყრიან. გვინდა, ახლა, ბოქულ, ამ ოქროსავით ხასიათის გაფუჭება? რაც უფასოა, ის მაინც შევირგოთ, არ ჯობია?!– სანდრომ ხელები უმწეოდ გაშალა, ძაღლმა მოიწყინა, პირს მომდგარი ნერწყვი ხარბად ჩაყლაპა და ხმადაბლა დაიკრუსუნა.

– ჰა, ბოქულ, შენ რა ლეკვივით წკნავი? არ შემარცხვინო, ახლა!– შეწუხდა ბიჭი. ბოქული ჭკვიანი რომ იყო, ახლაც შეეტყო, მიხვდა, – რა საოცრად გემრიელი სურნელის კერძის ჭამის იმედი არც კი უნდა ჰქონოდათ, თავისზე მეტად კუჭამწვარი ობოლი სანდრო შეეცოდა. გასამხნევებლად ვითომც სულაც არ მინდოდაო, კუდი მხიარულად გააქიცინა და ბიჭს ომახიანად შეჰყეფა.

– ასე არ ჯობია?! – შვებით ამოისუნთქა სანდრომ და ძაღლთან მასლაათი (თითქოს სულაც ჰაერით ძღებოდა) ისევ, წეღანდელი ხალისით, განაგრძო.

– შენ იმისთანა ჭკვიანი მყავხარ, უეჭველად ისიც გემახსოვრება, ზღვაში შესვლა როგორ გეშინოდა. ეს მერე შეუთამამდი ტალღებს, როცა დაინახე, რომ თევზივით ვცურავდი, თან ისე გაუდიდგულდი, ახლა რომ გაგეჯიბრო, ვშიშობ, შენ გამასწრებ. ბიჭმა არა მოდის, არამედ სიძველის გამო გაბრდღვნილ-გამოხეული შარვლის ჯიბიდან პატარა ჯოხი ამოაცურა, ძაღლს დააყნოსინა და ზღვისკენ ისროლა. ბოქულმა ერთი შეჰყეფა და ზუსტად ხუთი წამით ზღვას შეერია. იქიდან ქების მოლოდინში უკვე სახე განათებული და ამაყი გამოვიდა.

– ყოჩაღ, ჩემპიონო!– სანდრო მუხლებზე დადგა და ძაღლს სველ კისერზე ჩამოეკიდა. ბოქულმა დიდხანს ვერ მოითმინა, წყლით დამძიმებული ბეწვი, კისერი, ერთმანეთში გადაჭდობილი, ბიჭის თითებისგან მკვეთრი მოძრაობით გაინთავისუფლა და, როგორც ძაღლებს სჩვევიათ ხოლმე, ბეწვი მანაც ისეთივე მონდომებით გაიფერთხა.

ნაზმა სიომ, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დაქროდა, ზღვის წვეთის რამდენიმე პაწაწინა ნაწილაკს ხელი ჩასჭიდა და თავისი მიმართულებით გააქროლა. შხეფი სანაპიროზე მოქეიფე ორი ლოთიდან ერთ-ერთს ლოყაზე მოხვდა. გეგონებოდა ტყვია ესროლესო, ჭკუადასპირტებულს იმისთანა ბრაზი მოერია, გაშმაგებული ზეზე წამოიჭრა, ხელების ქნევა-ქნევით და ლანძღვა-გინებით თვალებამღვრეულმა მყისვე ბიჭისკენ გაიწია.

– ძაღლისთვის ვერ მიგიხედია, შე ნაბიჭვარო...

– ჰე, ბიძაჩემო, დაწყნარდი!..

სანდროს შიშისგან ხმა აუთრთოლდა.

– შეეშვი, ძმაკუშ! – ერთი ამოასლოკინა გაშლილ ბოხჩასთან დარჩენილმა ლოთმა, ბოლო ლუკმად მორჩენილი შავი პური და ყველის ნატეხი ურიგოდ გადახუხულ არაყს „ზაკუსკად" მიაწია და... ფერად კენჭებზე გადაშოტილმა, ფშვინვანარევი ხვრინვა ამოუშვა.

– ჰე, ჰე-მეთქი, ძია, საჩხუბრად რატომ მოიწევ?– თვალამღვრეულის შეჩერება სცადა ბიჭმა.

– რა თაობა ხართ წამოსული, ახლავე გასწავლი უფროსის პატივისცემას, შე ლაწირაკო! ბიჭის დაზაფრულმა სახემ მხეცზე დაგეშილი ქოფაკივით იმოქმედა მთვრალზე, თხელი მაისურის ბოლოები სახელდახელოდ აიკეცა და შვილის ტოლა ბიჭს მუშტი სახეში უთავაზა. სანდრო ზღვისკენ წაბარბაცდა, ერთ წამს გონებაც კი დაკარგა, მაგრამ, მერე, მოეჩვენა, თითქოს თავისმა საყვარელმა ზღვამ ტალღები მზრუნველად მოულამუნა და თვალიდან გამოიხედა, თუმცა ზღვაში შეყოლილი კაცის დანახვაზე, მორიგი დარტყმის მოლოდინში, შიშისგან ისევ მაგრად დახუჭა თავისი წამწამიანი პატარა „ზღვები".

– ანი ხომ იცი, უფროს-უმცროსი?– დამცინავად ჩაიცინა მთვრალმა, გაშლილი ხელისგული ბიჭს თავზე მიაბჯინა და მთელი ძალით დააწვა, რომ ჩაეყურყუმალავებინა.

ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... სანდროს ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მეტად უჭირდა სუნთქვა, ცდილობდა ამ ურჩხულისგან თავი როგორმე გამოეხსნა, მაგრამ გონება აღარ უჭრიდა. ზღვა ნეღანდელივით მშვიდი აღარ იყო. თითქოს ბიჭის ცოდვით იწვებაო, თანდათან უფრო მღელვარე და ბობოქარი ხდებოდა. კარგა გვარიანად აზვირთებული ტალღების თქარათქურში ბიჭის ხმა იკარგებოდა, თუმცა მის ყურს ბოქულის ყმუილნარევი ყეფა სწვდებოდა. სწვდებოდა და რაღაცნაირად უხაროდა იმ თავისი ალალი, პაწაწინა გულით. უხაროდა, რომ მთლად მარტო არ იყო, გულშემატკივრად და დამტირებლად მისნაირ ობოლს და ბედისაგან გამოღლეტილს ბოქულიც ეყოფოდა.

ძაღლმა ერთხანს იცქმუტა და იტრიალა, ნაპირის გასწვრივ, თავისი ყეფით თითქოს დამხმარეს უხმობდა, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ზოგი ქეიფობდა, ზოგი...

მოკლედ, იმ ლოთისთვის ხელიდან ბიჭის გამომგლეჯველი კაციშვილი არ ჩანდა. ბოქულიც როდემდე აიტანდა თავისი პატრონის ცემა-ტყეპას. ერთხელ კიდევ შეჰყეფა, იმის სანახავად ვინმე ხომ არ მოდის მაშველადო, თავი აქეთ-იქეთ მიაბრუნა და... ზღვას შეერია.

მართლაც „სანდროს სკოლა" ჰქონდა ბოქულს გამოვლილი. სულ წყალქვეშ იცურა მანამ, სანამ თითქმის შუა ზღვაში გასულ ბიჭსა და მთვრალს შორის არ ამოყო თავი. ასე უცებ და ერთბაშად ამოიზვირთა კბილებგაკრეჭილი, მრისხანე თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდა და აღრენილ დრუნჩს საეჭვოდ აკრაჭუნებდა.

– შენ აქ, საიდან, ქოფაკო?– ერთი შეყვირა მთვრალმა, ბიჭს მყისვე ხელი გაუშვა, სწრაფი მოძრაობით მარად ქამარში გარჭობილი არყის ბოთლი მოიხელთა და ბოქულს თავზე გადაამტვრია. ძაღლმა სიმწრისგან მხოლოდ ერთხელ ამოიგმინა, მერე გაახსენდა, რომ თითქმის გონმიხდილი სანდრო ჰყავდა მისახედი, კბილები ფრთხილად მოსჭიდა მაისურის ყელზე და ცურვა-ცურვით ბიჭი ნაპირზე გამოიყვანა. ნაპირზე მთლად მოხერხებულად ვერ დააწვინა, უკმაყოფილოდ წაიკრუსუნა და დრუნჩით სცადა ბიჭის სხეული გაესწორებინა, მერე ხელები და სახე იქამდე ულოკა, სანამ სანდრომ თვალები არ გაახილა.

– ბოქულ, შენ მიშველე?– გალახული სახით ძლივს გაიღიმა ბიჭმა, მაგრამ ძაღლის სისხლიანი თავი შენიშნა და მყისვე ზეზე წამოიჭრა.

– როგორ ხარ, ბოქულ?

რახან მიხვდა, ბიჭს აღარაფერი უჭირდა, ძაღლმა თავს უკვე ნება მისცა და საბრალო ხმაზე აკრუსუნდა.

– წამოდი, ახლავე გიწამლებ, შენ არ შეშინდე!

ბიჭმა ბოღმა გაჩხერილ ყელში, ძლივს გადაყლაპა ნერწყვი. თანხმობისა და მორჩილების ნიშნად ბოქულმა კუდი გააქიცინა. ცოტაც და წავიდოდნენ კიდეც, მაგრამ... ზღვიდან იმ აშარი მთვრალის ძახილი შემოისმა, შველას ითხოვდა. – გული, გული მტკივა, ვკვდები!– ყვიროდა.

– არც იფიქრო, ბოქულ! კვდება და მოკვდეს! რას მერჩოდა ამ წყალივით კამკამა ბიჭს? თან შენ რატომ დაგავიწყდა, თავი ვინ გაგიტეხა? დამიჯერე, ბოქულ, დამიჯერე და მე გამომყევი, ეგ შენ წვალებად არც ღირს! ის კი არა, თევზებმა რომ შეჭამონ, მაგაზე ახია, იმიტომ, რომ ძალიან ცუდი კაცია! – სანდრომ ერთი ზიზღით გახედა ზღვაში უმწეოდ აფართხალებულს, ნაპირზე გადააფურთხა და სახლისკენ წავიდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯზევე იგრძნო, ძაღლი უკან არ მიყვებოდა.

– ბოქულ, დაბრუნდი! ბოქულ, მაგ თავით სად მიდიხარ! ბოქულ არა-მეთქი!– აღრიალებული სანდრო ზღვისკენ გაიქცა, მაგრამ დააგვიანდა. ძაღლი ზღვას ჩვეული ოსტატობით შეერია. თუმცა გამოსვლა დააგვიანდა, ის კაცი ბიჭის წონისა არ იყო, თანაც ბლომად სისხლ დაკარგულს თავში ძალების გამოძებნა ძალიან გაუჭირდა, როგორც იტყვიან, ბოლო ძალები მოიკრიბა და ნაპირზე ძლივასღა გამოფორთხდა.

– ახლა მაინც შეეშვი მაგ უჯიშოს, რახან წამოდგა, აღარაფერი უჭირს, ეგ შარიანი თავისი ფეხით წაეთრევა თავის შარაზე. სანდრო ძაღლს მივარდა, რომელიც ძლივს სუნთქავდა და ნელ-ნელა თვალებს ლულავდა. სანამ ბოქული ნაპირზე განვებოდა, ბიჭმა მასთან ჩახუტება და კისერში კოცნა მაინც მოასწრო.

– ჩემი ჩემპიონი, ჩემი გმირი... რისთვის მოიკალი თავი, განა ეს აქოთებული შენი ბეწვის ღერად ან მოჭრილ კლანჭად ღირდა? – სანდრო არასდროს ტიროდა, ხელი რომც გაეჭრა, ფეხი მოეტეხა... – გოგო ხომ არ ვარ, ცრემლები ვღვაროო,– ობოლი ბიჭი თავს ყოველთვის ასე იმხნევებდა, მაგრამ ახლა, ახლა სულ არ ადადრდებდა ქვეყნად არაფერი. ერთადერთი მეგობარი თვალწინ უკვდებოდა, თანაც, სულ არაფრის გამო. კლანჭების გახსენებაზე სანდრომ ძაღლის წინა, მარჯვენა თათი ხელში მოიქცია, – ჩემი მარგალიტები, – ასლუკუნებულმა ჩაილუღლუღა. მერე იფიქრა, ეგება რომ გავამხნევო, უფრო ძალაზე მოვიდესო და... დიდი გაჭირვებით, უწინდებურად, ატიტინდა:

– ეეე... ბოქულ, ბოქულ! გახსოვს, პირველად კლანჭებს რომ არ მაჭრევინებდი?! გეშინოდა, ხოო? მაკრატელმა შეგაშინა ბიჭო? არა, სავარცხელსაც რო არ იკარებდი? გაფიცებ, იმისი რატომღა გეშინოდა? ვითომ გიკბენდა?!

ბოქულს ეტყობა, მართლა გაახსენდა ლეკვობის ტკბილი ხანა, დრუნჩის კიდეები ოდნავ შესამჩნევად გასწია, თითქოს გაიღიმა.

– აი, ხომ ხედავ, გახსოვს. კაი ხარ, ძალიან კაი!– იმედმოცემულმა ბიჭმა ცხვირი მაისურის სახელოზე შეიხოცა და ბოქულს სახეზე ნაზად მიუალერსა.

– აბა, ის თუ გახსოვს, დამშეულებმა ყასაბს ბარკალი რომ ავწაპნეთ? ხორცი მე და ძვალი შენ, მოდი თათი დაკარ, ხომ კარგი გარიგება გვქონდა, არა?

ძაღლმა ძალიან ზანტად, მაგრამ მაინც შეასრულა სანდროს თხოვნა, რითაც ბიჭს იმედი გაუორმაგდა, ხმაში სიხალისე შეემატა და მეტი შემართებით ატიტინდა.

– ბოქულ, ბოქულ! – კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ ძაღლმა აღარ დააცადა, თითქოს ამ არ დასმული კითხვის პასუხად წინდაწინ ერთი სუსტად დაიყეფა და მყისვე გაირინდა.

– ოოო, არა, ბოქულ!– აღრიალებული ბიჭი თავის ბავშვობის მეგობარს გადაემხო. ტიროდა, მოსთქვამდა, ღრიალებდა, თავის პატარა თითებს კენჭებზე უმოწყალოდ ურტყამდა, აშკარად მოსწონდა კიდეც ფიზიკური ტკივილი, რადგან სულ ცოტათი სულიერ ტანჯვას უამებდა.

– მოკვდა ბიჭო? მანახე ერთი!– წეღანდელი მთვრალის აწ უკვე ფხიზელი კაცის სიტყვებმა ლახვარივით დასცეს ბიჭს გულში. სანდრომ ხელი ყველაზე დიდ ქვას წაატანა.

– არც გაბედო მიკარება, მაგ ტურტლიანი ხელებით, მკვლელო! – ამოიგმინა სანდრომ, რომელიც ამ წუთებში სულ აღარ ჰგავდა შვიდი წლის ბიჭს. ახლა ცხოვრებისგან გათელილ შვილმკვდარს უფრო მოგაგონებდა. კაცი შეშინდა და უხმოდ გაეცალა.

– როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაზე უშნო დროს გაგვიწვიმდა, ბოქულ!– მაგრამ შენ შიში არ გქონდეს, აქ, ამ ნაპირზე, ასე უპატრონოდ კი არ მიგატოვებ! სულს დავლევ, მაგრამ ბოლო პატივს მაინც საკადრისად მოგაგებ. აწი, ყოველთვის ჩემთან იქნები ეზოში მყუდროდ, თუ გაწყობს რამენაირად მანიშნე, გთხოვ.

იქუხა, საშინელ ხმაზე დაიგრუხუნა. უსასოდ დარჩენილებს სჩვევიათ ხოლმე ყველაფერში იმ ნიშნის დანახვა, რასაც ეძებენ და სანდრომაც ბოქულის თანხმობად ჩათვალა ეს ქუხილი. რის ვაი-ვაგლახით აიტატა ხელში მისი უსულო სხეული და სახლისკენ წაასვენა.

...მას შემდეგ სანდრო ზღვაში აღარ შესულა. უბრალოდ, იჯდა ნაპირზე, ზღვაში კენჭებს ყრიდა და, ხანდახან, ეჩვენებოდა კიდეც, რომ ამ ფერად-ფერადებს ბოქული სულ ყეფა-ყეფით ითვლიდა.

სობრივი უბედურებაა". ვფიქრობ და ვიტყვი, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და ბევრგან, მრავალ არიან ფილოსოფოსნი, ღრმად მოაზროვნე წინასწარმეტყველნი, ფსიქოლოგები, ხელოვანნი. ალბათ, ვერ შეძლეს მოშხამული, უკვე გასოცადავებელი პიროვნების დარწმუნება, რომ ხოცავს უახლოეს – სლავიან უკრაინელებს, დიდიან-პატარიანად, როგორ ულამაზეს ერს. ნუთუ ერთხელ მაინც არ უფიქრია დამპყრობ სარდალს. ამდაგვარ სისასტიკეს არ შეარჩენს კაცობრიობა და არაფრით არ აპატიებს ზე-ძალა, რომელსაც გააჩნია უძლიერესი თვისებები – ხმები და კანონები. მართალია, ქვეყნის უპირველესი მოქცეულია შხამიანი ვარსკვლავთ დამაავადებელ გამჭოლი სხივების მარწუხებში, რითაც მოურჩენელი ფსიქოლოგიური ზნე ჭირითაა დაავადებული (უნია ქართველთა ცოდვამ), მაგრამ, როგორც შედარებით მაინც ძლიერ პიროვნებას შეუძლია მაგ ბოროტებას თავი გამოსტაცოს თავადვე, ან დააღწიოს კეთილ გარემოთა გავლენით (თუკი თანდაყოლილი არაა), რათა ამ საზიზღარ ომში არცერთი მხარე იქნება გამარჯვებული, რათა სამყაროსეული წმიდათაწმიდა მორალი მიუდგომელ უმკაცრესია და ზე-ზნეობრივი.

ამჟამინდელი რუსეთ-უკრაინის ომი მხოლოდ და მხოლოდ გველ-სატანური უკიდურესი მოვლენაა... ფრთხილად, დამნაშავე ადამიანებო, ზოგიერთი სივრცობრივი ბუმერანგი უტყუარ მომაკვდინებელია...

ბუმერანგის მეოხებით საერთაშორისო ბოროტმოქმედთა მომავლის ბედი გადაწყვეტილია. ამ შემთხვევაში, ცეცხლის ალში მეწვის გულ-ღვიძლი და უძლიერესი მართალი ვაჟკაცური უკრაინელები საკუთარი ძმებივით მეცოდება და, რა თქა უნდა, მოშხამული ზნეობისგან ჩათრეული რუსი ნორმალური ხალხიც. ცოდვილიანი ძლიერთა არაკაცობით მომავლის ახალგაზრდობა იღუპება, ძმათა შხამით გარეცხილ ომში ყოველთვის პირშავი წინმავალი კაენი მოქმედებს, მაგრამ უკიდურეს დამნაშავეებმა უნდა შეიგნონ, კაენი არასოდეს არ იმარჯვებს, რათა ის ყოველმხრივ ბოროტმოქმედებაა ჯოჯოხეთური, ზნედაცემულობა და ადამიანთა სამარცხვინო პირისისხლიანი ხასიათგამოვლინებაა სატანური დანაშაულით; სრულმართალი პასუხი მხოლოდ მარადიულ მართალ და მიუკარება ბუმერანგს აბარია და, მაინც, ჩვენთვის სამწუხაროა...

დიახ, უცნაური და უტეხი კანონებით კოსმოსში პლანეტებიც არ პატიობენ ერთმანეთს ვარსკვლავეთურ არეულობით დანაშაულებრივ უზნეობას. მაგ უდიდეს პლანეტარული ძალათ ფსიქოლოგიური მოძრაობა მარად გამოუცნობია ჩვენი დროის და დონის ადამიანებისთვის. ასე მგონია, მრავალმა რუსმა შეცდომილმა ეკლესია მიატოვა და ეშმაკის გომურში სულმახინჯი დაიარება, სადაც გველის ბუდესავით აქოთებული ყარს ყველაფერი...

საკვირველია, მაგ უბოროტესი ვარსკვლავისგან მოურჩენლად როგორ მოინამლა ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი, თავის თავში ძირფესვიანად ადამიანური სიკეთე რომ დაკარგა და, საუბედუროდ, რუსეთში სხვა მრავალსაც გადაედო ეს ყოვლის მომსპობი შხამ-სენი. კაცობრიობის წარსულის ისტორიიდან ყველა უბოროტესი მოლაშქრე სარდლები, რომელნიც შემდგომში კაენისტებმა გენიოსებად რომ მონათლეს, ყოველი მათგანიც უცილოდ ეშმაკის მსახურია და მათთან მუდმივ-ჩვენთა ერთობლივი გონებრივ-კეთილ-აზროვნებითი მოქმედება ბრძოლაა საჭირო. დღეს ყოველი მხრიდან ევედრებიან: – ნუ ღუპავ, რუსო ბატონო! კეთილშობილ ულამაზეს და ღვთისმიერ უკრაინელებს (ერთ დროს მათმა ბევრი ქართველიც რომ გაისტუმრეს), თქვენს მოძმე ხალხს ასევე მომავალში, რუსეთის მრავალ უდანაშაულო მშრომელ საზოგადოებას. ამიტომ, ჯერჯერობით, კეთილგონივრულად, თხოვნითაც მოგიწოდებენ, კაენის ზნეობით შეპყრობილთ, – იცხოვროთ ამქვეყნად ზნემართალ, მხოლოდ მზეებრ ნათელ ქრისტიანულადო!..

რეზო ადამია,
მწერალ-მხატვარი

თორნიკე კანდელაკი

მომავალი წიგნიდან „ქარების სახლი“

ხიდზე

ახლა, როდესაც ამ წერილს გიწერ,
ღამეა, ირგვლივ არავინ არის,
ვდგავარ ჩვენს ნაცნობ საოცარ ხიდზე
ნათლის ქვეშ ახალ ამოსულ მთვარის.

თითქოს ომიდან მე დაგიბრუნდი,
ისევ წრეში ვარ სახემღიმართა,
დაფრთხა და გაქრა ყველა ბინდბუნდი,
როცა ეს ხიდი აქ აღიმართა.

რაღაც დაკარგულს ვიბრუნებ უკან,
დიდი ხანია რასაც თვალები
არ შეხვედრიან და თითქოს რუკა
მე მაწვალებდა გაფერმკრთალებით.

შეხე, რამდენი სანთელი ჩაქრა!
ვინ გადაურჩა სულის ობლობას?
მე ახლობელი ბევრი მყავს, მაგრამ,
ეს უნდა მხოლოდ ჩვენს ახლობლობას?

სულში რა ხდება მხოლოდ შენ განდობ,
მე შენთან ვხარობ თავისუფლებით,
არ გეკრძალება ერთი შენ მარტო
მიგლოვო, თუკი დავიღუპები.

ჯოჯოხეთში ვარ თუ ვერ გიგონებ
და უფრო ბნელში ბილიკებს მივსდევ,
და რადგან ვგზავნი შენკენ სტრიქონებს,
ეს იმას ნიშნავს, ახლოს ხარ ისევ.

არ დამემდურო, გიცქერენ სადაც
ღალატით, ღვარძლით, დაცინვით, შურით,
იქ გულგრილობა მშვიდი და სადა
მოგერეოდა შენც უნებური.

როდემდე უნდა ენთოს სანთელი?
როდემდე უნდა სტანჯონ ქარებმა?
როდემდე უნდა მან წინანდელი
გადაივიწყოს გულმწყურვალება?

მე ვერ ვიკავებ ვერასდროს ღიმილს,
როდესაც ვხედავ რა ფიქრით სდუმან,
რაც მოსვლას ითხოვს ათასი წვიმის,
შენ მას, ძვირფასო, მიხვდები უმალ.

თუ მიკავია მერნის სადავე,
თუ რამე ცეცხლი ჩემში ღვთიურობს,
ნეტავ, ვიცოდე შენთვის რადა ვარ
ასეთი უცხო, გზავ, მშობლიურო!

მე მახსოვს სითბო შენი თითების,
როცა ყველასთვის უცხო ვიყავი,
ძირს დაცვენილი მარგალიტები
და მოსროლილი სადღაც ნიღაბი.

ყველა თასს დავცლი მე წმინდად, გწამდეს!
ჩემი ტკივილიც მოიძევს საფლავს
და ყველაფერი დასასრულამდე
მივა, რაც ახლა მტანჯავს და მზაფრავს.

არაფერია, ჩემო ძვირფასო,
ბევრჯერ დაღვრილა ცრემლები ცხელი,
ბევრი წარწერა ვნახე კვირბაზე,
მაგრამ ჯერ კიდევ გული მაქვს მთელი.

და ახლა, როცა ამ წერილს გიწერ,
ვისმენ სიხარულს შორეულ ჭერის,
კვლავ ჩვენ საოცარ ამოვედ ხიდზე
და ქარს უხილავს ვატან ამ წერილს.

მოლოდინში

ეს მარტიც ქრება, ვით თებერვალი,
ასეც და ისეც, გზავ, არ მომელი.
ამ გულმა ნახა ბევრი მწვერვალი
სამარადისოდ მიუწვდომელი.

ამ მწუხარების სული სალია,
მრისხანე – ვეფხვი ვით ბენგალიის,
შეუღო კარი მტანჯველ გალიას
შეღებამ ჩემი გულის გალიის.

ამ სიხარულის, ამ ტანჯვის სახე,
რასაც ვუძღვნიდი გულში ოდებს მე,
ვერ ვიფიქრებდი შეცდომის სახელს
მომაგონებდა თუკი ოდესმე.

სხვა გაღიმებას ვხედავდი გუშინ,
სხვა იმედებით ვიდექ ზარებთან
და არ მეგონა ბედი ღრმად გულში
თუ ამ სინანულს დაატარებდა.

ზვავები დაწყდნენ, დაწყდნენ ძაფები,
გვეთქვა, ნეტავი, რას არ ვამბობდით!
შენ აგცდებოდა ეგ ნიღაბები,
მე ამცდებოდა ეს ეშაფოტი.

რაღაც ყოველთვის უნდა დაიცვა,
სადღაც ყოველთვის დაცვას ელიან,
ოდესღაც ვიღაც ისე დაიწვა,
რომ კვნესა მისი დღესაც მწველია.

კედლის სურათზე ქარიშხალია,
იტაცებს ხომალდს მორევი ბნელი
და მე ვიცი, რომ ვიღაც ქალია
მთელ ამ სურათის შთამგონებელი.

სიჩუმე ჩადგა, თვალების ჭაში
აღარ გროვდება ცრემლი ჩვეულად,
მოდის მწუხარედ და ამბობს პაჟი –
ფსკერი ყინულად გადაქცეულა.

ჩვენ ვნახულობდით სხვადასხვა სიზმარს,
როგორც მუსიკა ისევ გველის ეს,
არ ვიცი, როგორ შეძლო პარიზმა
მოდა დასცქერდეს მინდვრებს ელისეს.

რომ არ მიცდიდე (შენ კი არ მიცდი),
რომ არ მელოდე (შენ კი არ მელი),
არ იძებნება ბრალის ამისთვის,
აქ უღონოა ფრთები მფარველი.

ვერ შეედრება ცივ რკინას მინა,
ფარულ ანთებას – სუსტი ხველება,
ვით მოჩვენებით მშობლიურ ბინას
უბინაობის საშინელება.

ეს მარტიც გაქრა, ვით თებერვალი,
ნეტავი, რისთვის, გზავ, თუ მომელი,
ამ გულმა ნახა ბევრი მწვერვალი
სამარადისოდ მიუწვდომელი.

პოეტის ხსოვნას

ყინულის თვალთა და ზურგშექცევის
შენ დაიღალე უკვე ყურებით,
შენ გიტაცებენ ხელში ლექსები
და ცისკენ ასე მიეშურები.

არცერთი ამბობს ცქერა თვალების
(მაშინ როდესაც ასე ევნები):
„ჰა, ჩემი გული, აქ უცვალები
ჰპოვოს შენ სულმა მოსასვენები“.

შეუძლებელიც იყო სრულიად
ცხოვრება შენი გარეთ ოცნების,
რომ შენ არ გეგრძნო სადაც სულია,
ანგელოზური სული მგოსნების.

შეუძლებელი იყო სავსებით
ყელი სილაღით არ მოგეღერა,
და როცა ლახვარს გცემდნენ მასები
თავდავიწყებით რომ არ გემღერა.

და შენც სხვებივით მოგიღეს ბოლო,
ვერ იქცა რადგან სახლად გალია,
შენც მოგკლეს, მოგკლეს იმისთვის მხოლოდ
აფრენა გსურდა მაღლა ძალიან.

გადარჩენილებს

თუ არ აგვივსეს მძლავრ გრძნობებმა გული
და სული,
თუ არ დაგვათრო სიხარულმა, ან მწუხარებამ,
თუ არის ყოფნა-არყოფნასთან ზიარებული,
მაშინ, მიგვრეკონ საფლავებთან, დროა,
ქარებმა.

რა ვუყოთ მერე, თუ მწარეა დღეის სასმისი,
თუ არ გვინახავს მსუბუქებაც ჩვენ დიდი
ხნიდან,
ყოფა გაქვთ მძიმე, მტანჯველი და გაუსაძლისი,
გტკივათ და მაინც მთელ ამ ტკივილს უშიშრად
იტანთ.

შორია თქვენთვის ნაპირები ბედნიერების,
შორია თქვენთვის დამშვიდება და მოსვენება,
მაგრამ შორია მინავლული ხმაც
ცოცხალ-მკვდრების,
ყოფნა ჩუჩელად, საფრთხობელად, ლანდად,
ჩვენებად.

თქვენ მოგაყენათ ამ ცხოვრებამ ბევრი ზიანი,
არ გაგიმთელდათ ჯერ კიდევაც მრავალი
წყლული,
მაგრამ გადარჩა თქვენში სახე ადამიანის,
სახე, ისევე მზიურ ნათლით გაბრწყინებული.

მრავალ ბედნიერს, სიტკბოთი მთვრალს, მაგრამ
უსახოს
მოენატრება თქვენი ყოფა დაუძრახველი,
არსად იქნება სხვამ კაცს კაცი რომ დაუძახოს
და მასთან ერთად არ ახსენონ თქვენი სახელიც.

არაფერია ქვეყანაზე მარადიული
და ნურც ამდენი შეგაშფოთებთ ვნება-იარა,
ადამიანად გადარჩენა გზაა ღვთიური
და ტანჯვა, მხოლოდ ტანჯვა გვაქცევს
ადამიანად!

საგუშაგოზე

თუმც, მარაბდასთან შედარებით ეს არის შოსე,
და მე ბრძანებით საგუშაგოს ქვაფენილს
ვცრიცავ,
მე ვდგავარ მუდამ ჩემ სინდისის სადარაჯოზე
და შებღალვისგან ჩემ საკუთარ ღირსებას
ვიცავ.

შეიძლებოდა ჩემი მეტად ხომ დაფასება?
პატიმარივით მაინც რომ არ შევცქერდე ზეცას,
მაგრამ ღმერთმა და წინაპართა ბრძანეს
დასებმა
რომ უანგაროდ ვემსახურო სამშობლოს ჩემსას.

სხვა გზები, გარდა სიხარულის, არის
მოწყვლადი,
მეც ვეწირები საქართველოს და მიხარია,
მაგრამ რა არის თავშეწირვა სამშობლოსათვის,
თვითონ სამშობლომ მასში ხელი თუ არ გარია?

ჩემ სახელს, როცა დალოცავენ გმირების გენებს
და იმათ ხსოვნას მიაგებენ დუმილით პატივს,
თუმცა, მომავლის საქართველო ვერ
გაიხსენებს,
მეც მიგულისხმებს, ვიცი, გულის ფიქრები მათი.

და ვიცი, რომ მეტ დაფასებას ვერ ველირსები
იმ ყველაფრისთვის, რაც მე უნდა გამოვიარო,
და იქნებ დროშა დიდების და პატივისცემის
ერთხელ თაობამ შორმა აღარც ააფრიალოს?

მე ისევ ჩემი პატიოსნად გზა უნდა ვთელო,
იქ კი იტყვიან, ესღა მრჩება გულში იმედად,
რომ გაიმეტა რისათვისაც ის საქართველომ,
მან საქართველო იმისათვის ვერ გაიმეტა.

თუმც, მარაბდასთან შედარებით ეს არის შოსე,
და მე ბრძანებით საგუშაგოს ქვაფენილს
ვცრიცავ,
მე ვდგავარ მუდამ ჩემ სინდისის სადარაჯოზე
და შებღალვისგან ჩემ საკუთარ ღირსებას ვიცავ.

დაღლილ ჯარისკაცს

დგახარ მდუმარედ და ითვლი წუთებს,
ითვლი წუთებს და ითვლი საათებს...
და იტევს რამდენს ეს ხეც, ეს ბუდეც
მწუხარ თვალებით ნამასლაათევს.

ცა როცა ღრუბლით დაიქუფრება
(ეს ხეც გაძრცვნილა უკვე სრულიად),
იგრძნობ, რომ შენი თავისუფლება,
აი, ამ ხისებრ გაძარცვულია.

შენ გაწუხებდა სამშობლოს ვალი
და საქართველოს წარსული დიდი,
სხვა გზა არც გქონდა... დღეს ხარ მძევალი,
დგახარ მდუმარედ და დღეებს ითვლი.

შენ მიგახვედრეს რომ იყო ჩუმად,
ადამიანი ეს არის ჭია,
და ყველაფერზე თქმულზე ძალუმად
პასუხი იყოს „გასაგებია“.

მზე ჩადის სადღაც, სახლში ბრუნდება, –
ყველა საკუთარ სახლებში მიდის,
ახედავ ზეცას და შეგშურდება
ცაზე მსუბუქად გადამფრენ ჩიტის.

რომ მთელი ღამე ჯერ წინ მოგელის,
ეს ფიქრი სადღაც უნდა მიყორო,
ღამე ცივია, არდამზოგველი,
და აღარ იცი თუ რა იღონო.

შენ გვერდით მხოლოდ შენი ჩრდილია,
მასაც შენსავით ბორკილი ადევს
და ერთადერთი ეს ტკივილია
შენთან ერთად რომ ღამეებს ათევს.

ამბოხი გულში, დუმილი შავი
და ომისწინა დაძაბულობა
ჩვეულებრივი გახდა ამბავი,
ყოველდღიური გახდა ულუფა.

გაიხედები ყველგან საითაც,
ვერ დაინახავ რამე ხსნად არი,
და იცი, რომ სხვაც ვერ გადაიტანს
რაცაა შენი გადასატანი.

და ახლაც, სადღაც, მდუმარედ მდგომებს
ზამთარი მყინავ ქარბუქში ახვევს,
სიტყვები გულებს ვერ გაალომებს,
გული თუ ამგვარს უპყრია ნაღველს.

ჩვენც ვერაფერი ვერ გვიშველიდა,
გარდა ნანატრი წასვლის საათის,
დრო ერთადერთი იყო მხსნელი და
დროც გადიოდა მძიმე ტაატით.

მაგრამ გავიდა... ყველაფრის მერე
შენ გადახედავ უკან გზას თელილს
და ვერ ირწმუნებ, ვერ დაიჯერებ,
ეს ყველაფერი შენ შეიძელი.

ძილისპირული

ღმერთო მაღალო, გევედრები
მუხლმოდრეკილი,
არის წუთები ეს ფიქრები ცრემლებად მღვრიან,
ბოროტისაგან ნუ მამყოფებ გულმოკვეთილი,
რომელს საყვარელ სამშობლოის დაცემა ჰქვია.

მომეცი გული საქართველოს ტკივილის
მგრძნობი,
თანამგრძნობელი დაღლილ გულთა, წამებულ
სულთა,
მომეცი სიბრძნე, მომეც თვალი ბალახის
მცნობი,
რომლითაც მისი დაამდება ტკივილი წყლულთა.

არ მინდა ხალხის ვუყურებდე ტანჯვას
შორიდან,
ვიდგე ძეგლივით და არაფერს არა ვშვრებოდე,
ან შეშველებას და შეწევნას ვცდილობდე მინდა,
ან მასთან ერთად ვიწვოდე და ვიტანჯებოდე.

ჩამბერე სული, ნუგეშების მაქციე სტვირად
და ჩემი გუდა სიმღერებით აავსე ტკბილით,
ფრენდეს ტკივილთა გასაყუჩად და გასაგმირად
ჩემი სიმღერა ამ გუდიდან ამოფრენილი.

სხვა თუ ვერაფრით მისი შველა ვერ შევიძელი,
მინდა სიმღერით გავამხნევო და მოვეფერო,
მოელის ყველა დაცემული განვდენას ხელის
და დღეს ეს ღომიც შველას ელის,
დამბადებელო.

იყო პოეტი

იყო პოეტი, – რა გიხარია?
ეს დაწყევლაა, სხვა არაფერი,
აქ ყველაფერი მხოლოდ ქარია,
შენ ინსტრუმენტი ხარ ჩასაბერი.

შენ სანთელი ხარ, ანათებ, იწვი,
მაგრამ ვერ თბები და შენთვის ბნელა,
და თუ ჩაქრები, კარგადვე იცი,
ეს უარესი იქნება წყევლა.

შენი ბედია დიდი ძეგლები
და ყვავილებით საფლავი სავსე,
სიცოცხლეში კი მხოლოდ ეკლები,
ეკლები გზებზე, ეკლები თავზე.

შენთვის სასახლეც ეს არის სორო,
არ მწამს, ცხოვრება, რომ თქვა, ავიწყე,
ქვეყნად ყველაზე მძაფრად შენ ცხოვრობ
ქვეყნადცხოვრებაგადანავიწყი.

დადიხარ, უფრო სწორად კი, დაქრი,
დაქრი და არსად არა გაქვს ბინა,
დაქრი და ყველგან შენია სახლი,
მხოლოდ ამ ქროლვით არ მოგეწყინა.

მხოლოდ ქროლვაში, მხოლოდ ქროლვაში,
ამ უთავბოლო ქროლვაში მხოლოდ,
ოქროს წუთების არის კოლაჟი,
შენი სიცოცხლის თავი და ბოლო.

იყო პოეტი, – ნუ გიხარია,
ანდა, იხარე, გულს ნუ აქვს ბზარი,
შენი სიცოცხლეც ეს ხომ ქარია,
შენ ხომ არასდროს არა ხარ მკვდარი!

„ცუდი ყოფილა სიცოცხლე, ყვავილში გადატეხილი“

„განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს,
შენი ბაგენი ალუბლებს ჰგვანდნენ,
მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ“.

ცნობილია, რომ არაერთ ხელოვანს დაჰყოლია უიღბლობა დიდ მოწოდებასთან ერთად. ამ სტროფის ავტორიც ერთი მათგანი იყო, ოღონდ ეგაა, რომ მის თავგადასავალს არაფერი აქვს საერთო კლასიკურ ისტორიასთან „უიღბლო ხელოვანზე“ – თითოეული ჩვენთაგანისათვის ნაცნობ, მრავალგზის წაკითხულ ან გაგონილ ისტორიასთან, თანამედროვეთაგან სიცოცხლეში გარიყულ და სიკვდილის შემდეგ ნიჭიერად შერაცხულ ხელოვანთან. ზემომოყვანილი სტროფის ავტორის ბედი ერთობ სევდიანია და ცოტაც უცნაური. მისი თავგადასავალი შებრუნებული ვარიანტია „უიღბლო ხელოვანზე“, რომელმაც მალე მიაღწია დამსახურებულ წარმატებას ქართულ პოეზიაში. მას დამწყები პოეტის კვალობაზე არც ყურადღება მოჰკლებია საზოგადოებისაგან, სიცოცხლეში ბედმა გაუღიმა, მაგრამ თავად მისი სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. დიდი შემოქმედებითი წარმატებისთვის გამზადებული პოეტის მინიერი არსებობა ძალიან მცირე ხნის გამოდგა. არ დასცალდა ახალგაზრდა, იმედისმომცემ პოეტს ხანგრძლივი სიცოცხლე, მაგრამ ხომ ხდება, რომ სიკვდილი ხელმეორედ ბადებს ნიჭიერ შემოქმედს. სწორედ სიკვდილით დაწყებულა არაერთი ცნობილი ხელოვანის მეორე, დიდი არსებობა. ალექსანდრე (კოკის – როგორც შინაურები ეძახდნენ) საჯაიას უიღბლობა შემდეგ, რაც დრო გადიოდა, უფრო პოპულარული ხდებოდა მათი პოეტური მემკვიდრეობა. თანდათან გამოიკვეთა ალ. საჯაიას პოეზიისადმი მეტი ყურადღება, რომელიც ნამდვილად არ იყო დასაავიწყებელი. იგი, მართლაც, მაღალნიჭიერი, საკუთარი ხელწერის მქონე პოეტი იყო. მაგალითად, საყურადღებოა კერ კიდევ 19 წლის ასაკში შექმნილი ერთი ასეთი ლექსი:

„თოვლი თოვს, თეთრი ქარია,
თეთრ სამოსელში ვირთვები,
ჩიტებო, რა გიხარიათ,
რისთვის მღერიხართ ჩიტები.
დიდი ზამთარი იქნება?
ნეტამაც ასე ინებოს!
თქვენ მაინც რა გეფიქრებათ,
რა გენანებათ ჩიტებო?“

ქართული პოეზიით დაინტერესებული მკითხველი, თუ ის გაცნობიერებულია გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ლირიკაში, ადვილად მიხვდება, რომ ეს ალექსანდრე საჯაიას ტაეპია, რომელიც ასევე ადვილად განსხვავდება სხვა პოეტების ლექსებისაგან. ერთი შეხედვით, ლექსი მარტივია, მაგრამ ქვეტექსტი უფრო ღრმააზროვანია, იგი ხატოვნად ასახავს ავტორის პიროვნულ განცდას, საკუთარ შინაგან სულიერ სამყაროს. ალ.საჯაიას პოეზია, მსგავსად სხვა ახლადდამწყები ლიტერატორებისა, ფაქტობრივად, თვითდამკვიდრების მცდელობაა მრავალსაუკუნოვან ეროვნულ მწერლობაში.

სამწუხაროდ, დღეს, ცოტას თუ ახსოვს ალ.საჯაიას პოეზია, მასზე მოგონებებიც მწირია, თუმცა, ყველაფერი, რაც კი მოგვეპოვება, ძალიან საინტერესოა მისი პოეზიისა და ბიოგრაფიის შესასწავლად. ასევე, ძალიან ცოტა წერილებია დაწერილი მისი შემოქმედების გასაანალიზებლად. მაგრამ რაც არსებობს, იმის მიხედვით, ეს უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა კაცი ყოველმხრივ შემეკულ ადამიანად წარმოგვიდგება. განგებამ ალიოშა საჯაია მრავალმხრივი ნიჭით და ფიზიკურად ლამაზი გარეგნობით დააჯილდოვა. მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც პიროვნული ბედისადმი უნდა ჰქონოდა სასაყვედურო, ჩქარა მიაღწია წარმატებებს პოეზიაში, უცხო ენების შესწავლაში, მთარგმნელობით საქმიანობაში. სიყმაწვილეც ლაღი და უზრუნველი ჰქონდა, ტოლ-ამხანაგებთან განსხვავებით, მატერიალური გაჭირვება არ უნახავს. მის დედ-მამას, შრომისმოყვარე მეგრელ გლეხებს, შეძლებული ოჯახი ჰქონდათ და ერთადერთ შვილს ანებივრებდნენ. მომავალ პოეტს არც სტუდენტობისას განუცდია შეჭირვება. როგორც იტყვიან – ნამდვილი სტუდენტური ცხოვრება ჰქონდა. მას, ასევე, ყოველთვის ჰქონდა საშუალება მუყაითი მეცადინეობისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისა. მაგალითად, თბილისში ჩამოსვლისთანავე დაწერა რამდენიმე საგულისხმო ლექსი, რითაც გულმოდგინედ შეუდგა მზადებას დიდი პოეზიისაკენ, მაგრამ წუთისოფლის „მსახვრალი ხელი“ უკეთურ მომავალს უმზადებდა. ავადსახსენებელი ომის წინ, 30-40-იანი წლების გასაყარზე, თბილისის ქუჩებში მშვიდი ნაბიჯით დაიარებოდა მაღალელეგანტურად გამოწყობილი ჭაბუკი, გამვლელები ღიმილით რომ აათვალიერ-ჩაათვალიერებდნენ, ოღონდ, ეგ იყო, ბევრმა მათგანმა არ იცოდა მისი ვინაობა, უფრო ბევრს კი, არც გაეგონა მისი სახელი. ეს ახალგაზრდა კაცი ალექსანდრე საჯაია გახლდათ. მისი ლექსები უფრო გახმაურდა, ვიდრე მათი ავტორის სახელი, თაყვანისმცემლებიც უმალ გამოჩნდნენ ბევრად მეტნი, ვიდრე თავად პოეტი მოელოდა. აი რას წერდა ვახტანგ ჭელიძე: **„შეუძლებელი იყო იგი გაგეგცნოთ და ერთბაშად არ მოხიბლულიყავით. ჯერ გარეგნობა განგაწყობდათ განსაკუთრებული სიმპატიით და შემდეგ ვაჟკაცური სილამაზე“.** ასევე აღსანიშნავია ნიკა აგიაშვილისეული დახასიათება: **„ყოველმხრივ კეთილშობილებით განმსჭვალული ალიოშა საჯაიასი, წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად“,** ნ.აგიაშვილის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ, ერთხელ, თურმე, დიდი გალაკტიონი შეხვედრია ალ.საჯაიას და ექსპრომტად უბრძანებია:

„ერთ დროს მეც ვიყავ შენებრ ლამაზი,
მაგრამ არ ვიყავ შენსავით ნაზი“.

ლექს „ცისარტყელას“ ავტორი, თანამედროვეთა გადმოცემით, მეგობრების მიმართ თბილი, ადამიანური ურთიერთობით გამოირჩეოდა. საზოგადოებაში ხმამაღლა საუბრობდნენ მისი ფაქიზი სულის ბუნებაზე, პატიოსნებაზე, თავაზიანობასა და კომუნიკაბელობაზე. აქ კვლავ ვახტანგ ჭელიძეს დავესესხები: **„იმ მრავალრიცხოვან ახალგაზრდათა ჯგუფში, რომლებიც 30-იან წლებში მოევლინა ქართულ ლიტერატურას, ალექსანდრე საჯაია ყველაზე ინტელიგენტური იყო“.** დიდი სიმონ ჩიქოვანი კი პოეტის გარდაცვალებიდან (1944) ახლო ხანებში წერდა: **„მე იგი მესამე-მეოთხე თაობის ინტელიგენტი მეგონა და განცვიფრებული დავრჩი, როცა მის დაკრძალვაზე სოფელში ჩავედი და მშობლები გავიცანი“.** კიდევ შეგვიძლია რამდენიმე ციტატის მოყვანა ალექსანდრე საჯაიას დასახასიათებლად, მაგრამ, ვფიქრობ, უკვე საკმარისია.

პიროვნული ხასიათის გვერდით ჩვენთვის მთავარია ალექსანდრე საჯაია როგორც პოეტი, როგორც ლირიკოსი. მის პოეზიაში აშკარად გამოსჭვივის ქართული ხასიათი, ლექსები თითქოს მათი ავტორის სულის გამოძახილია, რომ მათში ცხადდება თავად პოეტის პიროვნება. ამიტომ ახასიათებს ლექსებს მხოლოდ საჯაიასთვის და მისი ლირიკისთვის აღსანიშნავი ინტონაციები:

„ჩვენ ერთად ვნახეთ ბავშვი მოცარტი,
ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში,
ილიმებოდი და საოცარი,
მე ცისარტყელა მიყვარდა მაშინ.
ვინ იცის, მოვა კიდევ შხაპუნა?
ვიცი, ერთხელაც იქნება გვიან,
მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა,
მე უშენოდაც მიჯნური მქვია!“

როგორც ვხედავთ, ნატიფი გრძნობით განმსჭვალული ლირიკოსის მიერაა შექმნილი მოხმობილი სტრიქონები. თავისებური სითბო და სიყვარულის ნაზი განცდა გამოსჭვივის თითოეული ტაეპიდან, აშკარაა მათი ავტორის ორიგინალური ხელწერა, პოეტური სახეებისა და ფერების თვითმყოფადობა. ალექსანდრე საჯაიას ხელეწიფება ლექსებში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მძაფრი, შინაგანი სულიერი ტკივილები ადვილად განაცდევინოს მკითხველს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართავთ ლექსს – „კაფია“ და მასაც სრულად მოვიხმობთ:

„არაფერია, წვიმას აპირებს,
ქარი, ავდარი და მისტერია,
ფიქრებმა ერთხელ მეც ამატირეს,
შენ კი მითხარი: – არაფერია!
ლამაზი იყო, მზე იყო მხოლოდ,
თეთრი სიზმარი, თეთრი ფერია.
მე სიყვარულიც დავკარგე ბოლოს,
შენ კვლავ მითხარი: – არაფერია!
ცრემლები დარჩნენ, დღეს დღენი მიჰყვა...
გზებს ია-ვარდი დაუფენიათ,
„შემიყვარდა მე შრიალი როგორლაც,
აბრეშუმის სიყვარული მეც დამყვა,
ყელსახვევი მომიქსოვე გოგონა,
ჰო, ცისფერი ყელსახვევი გეთაყვა!“

როგორც ვხედავთ, ამ სტროფში აშკარად ჩანს ავტორის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები, მისი თავისებურება, კოლორიტი. თავისთავად ის ფაქტი, როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდა შემოქმედის საკუთარ, მხოლოდ მისი ლირიკისათვის დამახასიათებელი ხელწერაზე, მიუთითებს, რომ ალექსანდრე საჯაია მართლაც ჭეშმარიტი პოეტია. მან, ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, შექმნა არაერთი მხატვრულად სრულყოფილი, თვითმყოფადი ლექსი და ამიტომ დარჩა ნიჭიერ ოსტატად, ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად. ალ. საჯაიას პოეტური მემკვიდრეობა მოკრძალებულია, მაგრამ, რაც გვაქვს, ქართველ მკითხველთანაა შენივთებული, თან იმდენად, რომ რამდენიმე მათგანი სიმღერადაც იქცა. ეს, ერთი მხრივ, განაპირობა პოეტის შემოქმედების სიახლოვემ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან. მისი ლირიკული სტროფები ხალხური ლექსებივით სადაა და თავისებურად ტკბილხმიანი, თითოეულ მათგანში იგრძნობა უბრალოება, რაღაც პასტორალური. ზოგადად, ხალხური ლექსის მომხიბვლელი ძალა არის არა იმდენად ნათქვამის სილამაზე, რამდენადაც მთქმელის გრძნობათა სიწრფელეში. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ალექსანდრე საჯაიას შემოქმედების შესახებ. ახალგაზრდა პოეტი ესწრაფოდა უბრალოებას, რაც მისი ლირიკის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. მის ლექსებში ცხადდება გრძნობათა სიწრფელე, როგორც ხალხურ პოეზიაში. პოეზიის ჭეშმარიტ სიმაღლემდე აყვანა ნიშნავს, რომ შემოქმედმა თავის თემატიკას, ეს იქნება ეროვნული განცდა, სოციალური, სატრფიალო თუ სხვა ნებისმიერი, მიანიჭოს ეროვნული სულისკვეთება, უნდა შეძლოს სიყვარულის, სიკეთის განცდათა მაღალმხატვრულად რეალიზება, მოკლედ რომ ვთქვათ, მკითხველი საზოგადოების ესთეტიკური გემოვნების დაკმაყოფილება. ალექსანდრე საჯაიას ლექსები ამაღლებულია, ვინაიდან ქართული, ეროვნული სულისკვეთებითაა განმსჭვალული. მართალია იგი ვერ მოიცავს ერის სულიერი ცხოვრების მთლიანობას, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ პოეტი აღტაცებით ხატავს თავის სამშობლოს სილამაზეს, მისი ლაღი ბუნების მრავალფეროვნებას, ქართველი კაცის შეუდრეკელ ხასიათს, მამულისადმი თავდადების სანუკვარ იდეას. ალ.საჯაია პირადულ განცდათა ასახვა-წარმოჩენის საუკეთესო ოსტატიცაა. მის ლექსებში გამოკრთის ქართველი კაცის გრძნობათა უტყუარობა და მომავლისადმი ნათელი ხედვა. ჩვენს ნათქვამზე, ალბათ, ყველაზე უკეთესად ლექსი „ცისარტყელა“ მიუთითებს, რომელშიც განსაკუთრებით გამოკვეთილია ალ.საჯაიას პოეზიის პათოსი. აქ ერთ გარემოებას გვინდა გავუსვათ ხაზი: ცნობილია, რომ ლადო ასათიანის საოცარ ლექს-სიმღერას „სალაღობოს“ მისი მეგობარი კოკი საჯაია შინაურულად „ასათიანურს“ უწოდებდა. ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ ურიგო როდი იქნებოდა ალ.საჯაიას „ცისარტყელასათვის“ „საჯაიასებური“ გვეწოდებინა. თავს უფლებას მივცემთ და ხსენებულ ლექსს, თავის მხატვრული ღირებულების გამო, მთლიანად მოვიყვანთ, წერილიც ხომ სწორედ ამ ლამაზი ლექსის პირველი სტროფით დავიწყეთ:

„განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს,
შენი ბაგენი ალუბლებს ჰგვანდნენ,
მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ.
მჯერა, ნიავიც ამაოდ ქროდა,
არ მსურს ვარსკვლავნი ამაოდ ვთვალო,
შენ ღვინისფერი თვალები გქონდა,
მეც შავი ღვინო მიყვარდა ქალო!..
არაფერია, მე ბავშვი ვიყავ
თორემ ცრემლები არაფერია...
მოიტათ ღვინო, სულში ფარული
არ დარჩეს კიდევ ცრემლი პატარაც,
ვხედავ მენვია მე სიხარულიც,
მაგრამ ძნელია ამის ატანაც.
მოიტათ ღვინო... ღვინო სისხლს ერთვის
შეგათრთოლებს და სისხლის ფერია...
ვგიყდები... ახლაც მაღირსე ერთი,
ძმავ, ეგ ძვირფასი: – არაფერია!..“

გადიოდა დრო ლექსების წერასა და თანამოკალმეებთან ლიტერატურულ საკითხებზე ხმაურიან კამათებში, შემოქმედებითი გეგმების ურთიერთგაზიარებაში. ახალგაზრდა პოეტებს და მათ შორის ალექსანდრე საჯაიას თანდათან უმტკიცდებოდა საკუთარი ხმა, დღითიდღე იზრდებოდა, იხვეწებოდა მისი პოეტური ოსტატობა. იგი ბეჯითად სწავლობდა, იფართოებდა ერუდიციას, გატაცებით ეუფლებოდა რუსულ და ინგლისურ ენებს. პარალელურად ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მაგალითად, დღესაც საუცხოოა ალ. საჯაიას მიერ რუსულიდან თარგმნილი რამდენიმე ლექსი. კალამს ცდიდა პროზაშიც. სამწუხაროდ, აღარ დასცალდა დაემთავრებინა მშვენიერი პოემა „უტუ მიქავა“. დასანანია, რომ ერთი კარგი ჩაჯდომა, საბოლოო შეტევა და პოემაც მზად იქნებოდა. რაც არ უნდა ეწერა და ეღვაწა, საჯაიასთვის მაინც ქართული ლექსი იყო მთავარი, იგი დიდი ხალისით და მონდომებით წერდა. პოეტის ლირიკას თანდათან დაემჩნა სრულყოფილი შემოქმედის ხელი. დიდი მიზნის განსახორციელებლად მზად იყო, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, წერილის დასაწყისში, ალექსანდრე საჯაიას და მის თანამედროვე რამდენიმე ნიჭიერ მხატვრული სიტყვის ოსტატს უკულმართი ბედი ეწერათ: მათ კარს ძალიან ჩქარა მოადგა უბედურება, მოულოდნელად, სიკვდილის „შავი სუნთქვა – 1943 წელს, როცა აღესრულა „კრწანისის ყაყაჩოების“ ავტორი ლადო ასათიანი. აქვითინებული ალექსანდრე საჯაია მეგობარს დაპირდა, რომ ღირსეულად გააგრძელებდა მის შეწყვეტილ საქმეს, თუმცა პირობა მხოლოდ პირობად დარჩა: ზუსტად ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა თავად ალექსანდრე საჯაია, თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ეს დინჯი, ახალგაზრდა კაცი ნაყოფიერად, აჩქარებით შეუდგა საკეთებელ საქმეს. თურმე, იმასაც ამბობდა მეგობართან – გარდაუვალი აღსასრულის წინათგრძნობა არ მასვენებსო:

„... აგერ კუბო ფერადი, აი, ჩემი აკვანი,
ჰოი, სათქმელო სიმღერავ, ნუკი დამიოკდები,
კიდევ ცოტა და უცხო ყვავილივით მოვკვდები“.

მიუხედავად მოახლოებული განსაცდელისა, ალექსანდრე საჯაია ემზადებოდა დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისთვის და არაფრის დიდებით ეპუებოდა სიკვდილის ლანდს. სიცოცხლის უკანასკნელ წელს დაიწყო ზრუნვა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. სვანეთშიც კი წავიდა სიმხნევის მოსაკრებად, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ეს გამგზავრება უკანასკნელი აღმოჩნდა სრულიად ახალგაზრდა პოეტისთვის. სვანეთის ულამაზეს მთებში აღესრულა „ცისარტყელას“ შემოქმედი... იდგა 1944 წლის სექტემბერი.

უეჭველია, რომ მუდამ სიამოვნებას მოჰგვრის ქართული ლექსის გულშემატკივარს ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ელიზბარ უბილავას, გიორგი ნაფეტვარიძის, ალექსანდრე საჯაიას და მათი ღირსეული თაობის სხვა პოეტთა დიდებული ქმნილებები. „ჭაბუკებად დარჩენილებს,“ მართლაც რომ ბევრი დარჩათ სათქმელი, აღარ დასცალდათ ბოლომდე გახარჯულიყვნენ სანუკვარი საქართველოსთვის.

მათი მოულოდნელი აღსასრულით კიდევ ერთხელ გამართლდა სამწუხარო, მაგრამ ხატოვნად ნათქვამი: *„ცუდი ყოფილა სიცოცხლე, ყვავილში გადატეხილი“.*

სოსო გიძოშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია - 90

ცვალებადი ვარსკვლავების კვლევა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისთვის მთა ყანობილი განსაკუთრებით შეირჩა, სპეციალური ექსპედიციის მიერ, რომელიც საბჭოთა კავშირში პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის დასაარსებლად გამორჩეულ ადგილს ეძებდა მაღალმთიან რეგიონებში, სტაბილური, მშრალი ატმოსფერული პირობებით და მოწმენდილი დღეებისა და ღამეების, რაც შეიძლება დიდი ოდენობით. ობსერვატორიის დაარსებისთანავე, 1932 წელს, ცვალებადი ვარსკვლავების დაკვირვება დაიწყეს საბჭოთა კავშირში აგებული პირველი ტელესკოპით, ე.წ. პონომარიოვის 33 სანტიმეტრიანი რეფლექტორით, რომელიც თავიდან „გლაზენაპისეულ კოშკში“ დაიდგა, დაბა აბასთუმნის შემაღლებულ ადგილზე, ხოლო შემდეგ, ყანობილის მთაზე, სპეციალურად აშენებული ორმაგი კოშკის ერთ-ერთ ფლიგელში, მეორე ფლიგელში კი – 1938 წლიდან ამუშავდა 44 სმ დიამეტრის სფერული სარკის მქონე შმიდტის ფართოველიანი კამერა. ცვალებადი ვარსკვლავების დაკვირვებები ჯერ ფოტოგრაფიული მეთოდით დაიწყო, ხოლო შემდეგ, 1935 წლიდან, გამოიყენეს ახალი ხელსაწყო, რომელსაც ელექტროფოტომეტრი ერქვა და ალბერტ აინშტაინის მიერ აღმოჩენილ ფოტოელექტრულ ეფექტს იყენებდა ვარსკვლავიდან მომავალი გამოსხივების გასაზომად, თანაც, ელექტროფოტომეტრია უფრო ზუსტ მონაცემებს იძლევა, ვიდრე ფოტოგრაფიული დაკვირვებები.

1990-იანი წლების ბოლომდე, აბასთუმნის ობსერვატორიაში ცვალებადი ვარსკვლავების ელექტროფოტომეტრული დაკვირვებები მიმდინარეობდა ელექტრომაგნიტური სპექტრის ოპტიკურ დიაპაზონში, სტანდარტული U, B და V ჯონსონის ფართოზოლოვანი ფილტრებით, ხოლო პონომარიოვის 33 სმ ტელესკოპი 1968 წელს ჩაანაცვლა 48 სმ კასეგრენის ტელესკოპმა (აზტ 14), 1978 წლიდან კი ცვალებადი ვარსკვლავების დაკვირვება დამატებით შესაძლებელი გახდა 125 სმ (აზტ 11) ტელესკოპითაც.

ახლა ცვალებადი ვარსკვლავების დაკვირვება ხდება აზტ 14 ტელესკოპით, რომელიც აღჭურვილია CCD კამერით და UBVRI ფილტრებით, რაც კიდევ უფრო ზუსტი გაზომვების შესაძლებლობას იძლევა.

1937 წელს, ობსერვატორიის დაარსებიდან 5 წლის მერე, გამოქვეყნდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენის პირველი ნომერი, რომელშიც სტატიების დიდი უმრავლესობა სწორედ ცვალებადი ვარსკვლავების (განსაკუთრებით ორჯერადი ვარსკვლავების) ფოტოგრაფიულ და ელექტროფოტომეტრულ დაკვირვებებს ეხებოდა. ჩამოვთვლით ავტორებსაც: ვ. ბოდოკია, რომელიც ძალიან აქტიურად აკვირდებოდა W UMa ტიპის ბნელებად ორჯერადებს, რომელმაც გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო ბნელებადის დაკვირვებები და ორჯერადების ელემენტები (სამწუხაროდ, ბოდოკია 1938 წელს გარდაიცვალა), ე. ხარაძე, ვ. ნიკონოვი, პ. კულიკოვსკი და სხვ.

ბიულეტენის პირველივე ნომრების პუბლიკაციებში ჩანს, რომ აბასთუმნის ობსერვატორია დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა მრავალპროფილიან ასტრონომიულ სამეცნიერო ინსტიტუტად, რამაც ობსერვატორიაში რამდენიმე ასტრონომიული მიმართულების განყოფილებების არსებობა განსაზღვრა, ცვალებადი ვარსკვლავების განყოფილების ჩათვლით.

ცვალებადი ეწოდება ისეთ ვარსკვლავს, რომლის სიკაშკაშეც დროში ცვალებადია. ცვალებადობის მიზეზები სხვადასხვაა, თუმცა, ეს მიზეზები ორ ჯგუფად შეგვიძლია გავყოთ: 1. გეომეტრიული, ანუ ვარსკვლავის დამკვირვებლისადმი მდებარეობით გამოწვეული, ხილული, ანუ დამზერითი ცვალებადობა; და 2. ვარკვლავის წიაღში მიმდინარე ფიზიკური პროცესებით გამოწვეული ცვალებადობა. ორივე შემთხვევა ძალიან მნიშვნელოვანია ვარსკვლავების და ზოგადად სამყაროს კვლევისთვის.

პირველი მიზეზი ცვალებადობისა ძირითადად გულისხმობს ორჯერადი, ანუ ორმაგი ვარსკვლავების სიკაშკაშის ცვალებადობას, როდესაც ეს ორი ვარსკვლავი ისე ბრუნავს ორბიტაზე მათი სიმძიმის ცენტრის ირგვლივ, რომ მთლიანად, ან ნაწილობრივ, პერიოდულად აბნელებს ერთმანეთს დედამიწაზე მყოფი დამკვირვებლისთვის (ან კოსმოსური ტელესკოპისთვის), რაც სიკაშკაშის პერიოდულ ცვალებადობებს იწვევს.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი შემთხვევა, რადგან, როდესაც გვაქვს სიკაშკაშის ცვალებადობის ზუსტი გაზომვები და ამ ვარსკვლავთა სპექტრები, შესაძლოა საკმაოდ ზუსტად გამოვთვალოთ ორივე ვარსკვლავის მასები, ზომები, ერთმანეთისგან დაშორება და ერთმანეთის ფორმის დამახინჯება, რაც მათ შორის არსებული უზარმაზარი მიზიდულობის ძალით არის გამოწვეული. ასეთი დაკვირვებები საშუალებას იძლევა ასევე, შევისწავლოთ სხვადასხვა ფიზიკურ გარემოში გამოსხივების გადატანის თავისებურებები.

ვარსკვლავის სიკაშკაშის ცვალებადობის მეორე მიზეზი, ანუ ვარსკვლავის წიაღში მიმდინარე პროცესებით გამოწვეული ცვალებადობა, ინფორმაციას გვაძლევს ვარკვლავების ევოლუციაზე, ანუ მათ ასაკზე, ვარკვლავებში მიმდინარე თერმობირთვულ რეაქციებზე, გამოსხივების გადატანის კანონებზე, საშუალებას იძლევა, დამუშავდეს და დაიხვეწოს როგორც ვარსკვლავების მოდელები, ასევე მოხდეს სხვადასხვა ქიმიური შედგენილობისა და სხვადასხვა მასის ვარსკვლავების ახალი, უფრო ზუსტი ევოლუციური მოდელების შემუშავება. ეს მოდელები დაკვირვების ტექნიკის განვითარებასთან ერთად იხვეწება ახალ დაკვირვებით ფაქტებზე დაყრდნობით.

1930-იან წლებში თითქმის არაფერი იყო ცნობილი ვარსკვლავთა ევოლუციის ბოლო სტადიების – თეთრი ჯუჯების, პულსარების, ანუ ნეიტრონული ვარსკვლავების და შავი ორმოების (ე.წ. შავი ხვრელების) ნამდვილი ბუნების შესახებ. სპეციალისტების მხოლოდ მცირე წრემ იცოდა ჩანდრასეკარის კვლევების შესახებ, რომლებიც ვარსკვლავთა პოლიტროპულ მოდელებს და ჰიდროსტატიკურ წონასწორობას ეხებოდა. ამ ნაშრომებისთვის ჩანდრასეკარმა მხოლოდ 1983 წელს მიიღო ნობელის პრემია. 1930-იან წლებში, აბასთუმნის ობსერვატორიის დაარსებისას, ედვინ ჰაბლის მიერ ახალი დადგენილი იყო სამყაროს გაფართოება.

1930-იან წლებში ასტრონომების წინაშე იდგა ამოცანა, რაც შეიძლება მეტი დამზერითი, ანუ დაკვირვებითი მასალა მიეღოთ ბნელებადი ორჯერადების სიკაშკაშის ცვალებადობის შესახებ, მოეხდინათ ზოგადად, ყველანაირი ვარსკვლავების კლასიფიკაცია მათი სპექტრული ტიპისა და სიკაშკაშის ცვალებადობის ხასიათის მიხედვით, ამ პროცესებში აბასთუმნის ობსერვატორია აქტიურად ჩაერთო. დაკვირვებების შედეგები ქვეყნდებოდა აბასთუმნის ობსერვატორიის ბიულეტენში და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდებოდა. მნიშვნელოვანი იყო და მიმდინარეობდა ისეთი ვარსკვლავების დაკვირვებები, რომლებმაც მეტად საინტერესო სიკაშკაშის ცვალებადობა გამოავლინა. ერთ-ერთი ასეთი არის ცვალებადი ვარსკვლავი, რომელსაც გედის P, ანუ P Cygni ჰქვია. ეს ვარსკვლავი 1600 წელს მოულოდნელად ძალიან გაკაშკაშდა და 1662 წლამდე სიკაშკაშის უცნაურ ცვალებადობებს განიცდიდა. შემდეგ მისი სიკაშკაშე თითქმის დასტაბილურდა, თუმცა მას „მუდმივ ახალ ვარსკვლავს“ უწოდენდნენ, მისი სპექტრის უცნაური თვისებების გამო. აბასთუმნის ობსერვატორიის ბიულეტენის პირველ ორ ნომერში ამ ვარსკვლავის აბასთუმნის ობსერვატორიაში ჩატარებული ფოტოგრაფიული და ელექტროფოტომეტრული დაკვირვებების შედეგებიც გამოქვეყნდა. ასევე გამოქვეყნდა ობსერვატორიის ახალგაზრდა დირექტორის, ევგენი ხარაძის ძალიან სერიოზული გამოკვლევა, რომელიც P Cygni-ს სპექტრში გამოსხივების და შთანთქმის ხაზების ანალიზისადმი იყო მიძღვნილი და ვარსკვლავის ატმოსფეროს და მისი გაზოვანი გარსის თვისებების შესწავლას ისახავდა მიზნად. სპექტრები მიღებული იყო სიმეიზის ობსერვატორიის (ყირიმი) 1 მეტრიანი ტელესკოპით.

P Cygni-ს დაკვირვებები დამატებით შესრულდა 1951-1983 წლებში ხარაძე-მაღალაშვილის მიერ. ამ ხანგრძლივმა დაკვირვებებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ახლა, როცა უკვე ცნობილია მთელი კლასი ვარსკვლავებისა, რომლებიც P Cygni-ს ენათესავება და ბრწყინვალე ლურჯი ცვალებადები ჰქვია. ასეთი მასიური ვარსკვლავების კვლევები ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობს, ისინი დაკავშირებული აღმოჩნდა სამყაროში მიმდინარე ისეთ პროცესებთან, როგორიცაა ზეახლების ანთებები და ვარსკვლავების ევოლუციის ბოლო სტადიები, რაც, თავის მხრივ, ნეიტრონულ ვარსკვლავებთან, შავ ხვრელებთან და გრავიტაციული ტალღების წყაროებთან არის დაკავშირებული. ხარაძე-მაღალაშვილის დაკვირვებები აღმოჩნდა უნიკალური იმ თვალსაზრისით, რომ არცერთ სხვა ობსერვატორიაში ამ საინტერესო ვარსკვლავის ფოტომეტრული დაკვირვებები არ ჩატარებულა მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე. აბასთუმანში ჩატარებული დაკვირვებების ანალიზის შედეგად ივარაუდება, რომ ვარსკვლავმა შეიძლება კვლავ განიცადოს ისეთი უცნაური ანთებები, როგორიც ჰქონდა 1600-1662 წლებში და შესაძლოა, ზეახლადაც კი აფეთქდეს.

დროთა განმავლობაში ცვალებადი ვარსკვლავების დაკვირვებები და კვლევები გაფართოვდა აბასთუმნის ობსერვატორიაში და ჯერ ცვალებადი ვარსკვლავების ჯგუფი, შემდეგ კი განყოფილება ჩამოყალიბდა.

სხვადასხვა დროს ცვალებად ვარსკვლავებს იკვლევდნენ ნ. მაღალაშვილი, ი. ქუმსიშვილი, ი. ალანია, გ. სალუქვაძე, ო. აბულაძე, მ. ქუმსიაშვილი, ა. ჭუაძე, ი. ჩხიკვაძე, გ. ქიმერიძე, რ. ნაცვლიშვილი, ა. ტოტოჩავა, გ. ჯავახიშვილი, ე. ჯანიაშვილი, თ. ურუშაძე და სხვები. ზოგიერთი მათგანი კვლავ აგრძელებს ობსერვატორიაში ინტენსიურ სამეცნიერო კვლევებს, გამოჩნდნენ ახალგაზრდა მკვლევარებიც.

აბასთუმნის ობსერვატორიის ცვალებადი ვარსკვლავების მკვლევარების მიერ ჩატარებული დაკვირვებები და კვლევები ყოველთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნების ასტრონომებისთვის, რადგან ეს დაკვირვებები ტარდება კვალიფიციურად, კარგი ატმოსფერული პირობების მქონე ობსერვატორიაში. ამიტომ, ქართველ ასტრონომებს ხშირად იწვევდნენ დიდ საერთაშორისო კოლაბორაციებში სათანამშრომლოდ.

ასეთი იყო კოლაბორაცია ანთებადი ვარსკვლავების, ანუ დაბალი მასისა და ტემპერატურის მქონე ე. წ. UV Cet და T Tau ტიპის ვარსკვლავების კვლევისთვის, სადაც აბასთუმნის ობსერვატორია თანამშრომლობდა ბიურაკანის ობსერვატორიასთან (სომხეთი) და ინდოელ რადიოასტრონომებთან. საქართველოში დაკვირვებები მიმდინარეობდა აბასთუმნის ობსერვატორიის 70 სმ ფართოველიანი მენისკური ტელესკოპით, ფოტოგრაფიულად, ორიონის ნისლეულის არესა და პლეადებში. ეს არეები ვარსკვლავთწარმოშობის უბნებად ითვლება და დღესაც ასტრონომების ინტენსიური კვლევის საგანს წარმოადგენს. ქართველი მონაწილის, რ. ნაცვლიშვილის მიერ შეფასდა ანთებადი ვარსკვლავების რაოდენობა ორიონის ნისლეულის არეში, შედგენილი იქნა ანთებადი ვარსკვლავების კატალოგი, აღმოჩენილი იქნა 107 ახალი ანთებადი ვარსკვლავი, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა სპეციალური მედლით ახალი ასტრონომიული ობიექტების აღმოჩენისთვის. ასეთივე მედლით დაჯილდოვდა გ.ქიმერიძე რამდენიმე ზეახალი ვარსკვლავის აღმოჩენისთვის. ე.წ. ზეახალი ვარსკვლავები (Supernovae) აღმოაჩინეს ასევე ა. ჭუაძემ და რ. ინასარიძემ.

ე. წ. ახალი ვარსკვლავები (Novae) აღმოაჩინეს, სხვადასხვა დროს: რ. ბართაიამ, ს. აფრიამაშვილმა, რ. ინასარიძემ.

საერთაშორისო კოლაბორაციებიდან აღსანიშნავია ასევე უცნაური მასიური ორჯერადის, RY Sct-ის შემსწავლელი საერთაშორისო კოლაბორაცია, სადაც მაიდანაკის ობსერვატორიის (უზბეკეთი), ჩეხეთის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების ასტრონომებთან ერთად (1980-იანი წლების დასაწყისში) ჩართული იყო ევროპის სამხრეთის ობსერვატორიაც (ESO), რიხარდ ვესტის სახით, როდესაც, ლა სილას ობსერვატორიაში (La Silla Observatory) ჩატარდა სპეციალური სპექტრული დაკვირვებები. ამ კოლაბორაციას კოორდინაციას უწევდა აბასთუმნის ობსერვატორია, ხოლო ქალბატონი მზია ქუმსიაშვილი იყო კოლაბორაციის ხელმძღვანელი.

მოგვიანებით, 2005-2006 წლებში შედგა თანამშრომლობა მინესოტას უნივერსიტეტის ასტროფიზიკის დეპარტამენტსა და აბასთუმნის ობსერვატორიის ცვალებადი ვარსკვლავების განყოფილებას შორის, რომელიც დაფინანსდა GRDF/CRDF-ს ბილატერული თანამშრომლობის გრანტის სახით. ქართულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა მ. ქუმსიაშვილი.

აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო დამზერით პროგრამაში, რომელიც საინტერესო ცვალებადი ვარსკვლავების, მ. შ. ორჯერად ვარსკვლავებში არსებული შავი ხვრელების დაკვირვებას ისახავდა მიზნად, ეს დაკვირვებები აზტ 14 ტელესკოპით მიმდინარეობდა და კვლევის ერთ-ერთი ობიექტი იყო ცნობილი შავი ხვრელის შემცველი მასიური ორჯერადი, Cyg X-1.

ახლა აბასთუმნის ობსერვატორია ჩართულია ყველაზე თანამედროვე კვლევებში, გრავიტაციული წყაროების ოპტიკური შესატყვისების ძიების საერთაშორისო GRANDMA კოლაბორაციაში, რომელშიც აბასთუმნის ობსერვატორიის ასტრონომებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოს 12 ქვეყნის ასტრონომები და 29 ტელესკოპი. კოლაბორაციას ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საფრანგეთი, ახალგაზრდა მეცნიერის, სარა ანტიეს სახით.

ნინო ყოჩიაშვილი,
ევგენი ხარაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

„მზის სამსახური“ და მზის გარე ფენების მოვლენათა გამოკვლევები აბასთუმანში – მთა ყანობილზე

მზის კვლევას საფუძველი XVII საუუნის დასაწყისში ჩაეყარა, როდესაც ცნობილმა იტალიელმა სწავლულმა გალილეო გალილეიმ პირველად მიმართა ჭოგრი მზისკენ და აღმოაჩინა ე.წ. „მზის ლაქები“.

XIX საუკენის ნახევრამდე მზის კვლევაში მნიშვნელოვანი ცვლილება როგორც პრობლემური, ისე მეთოდური თვალსაზრისით არ მომხდარა. თუმცა მზადდებოდა ახალი ტელესკოპები, რაც თავის მხრივ მეცნიერებს მზეზე ცალკეული სტრუქტურული დეტალების განხილვის საშუალებას აძლევდა. და აი, 1860 წელს გერმანელმა მეცნიერებმა კირხოფმა და ბუნზენმა საფუძველი ჩაუყარეს კვლევის ახალ ფიზიკურ მეთოდს – სპექტრულ ანალიზს. ამ მეთოდმა შემდგომში ფართო გამოყენება ჰპოვა ასტროფიზიკაში, განსაკუთრებით კი მზის ფიზიკაში.

მას შემდეგ, რაც ასტრონომიაში ფოტოგრაფიამ დაიმკვიდრა ადგილი, დაიწყო სპექტროსკოპული მეთოდის ახალი ერა.

XIX საუკუნის დამევს ამერიკელმა ჰელმა (Hale) გამოიგონა და შექმნა პრინციპულად სრულიად ახალი ხელსაწყო ე.წ. სპექტოჰელიოგრაფი, რომელიც მალე დამკვიდრდა ასტრონომიული ობსერვატორიების პრაქტიკაში. ჰელი იყო პირველი ასტრონომი, რომელმაც ეს ხელსაწყო გაავრცელა ობსერვატორიებში და ამით საფუძველი ჩაუყარა მზის სამსახურის საერთაშორისო ქსელს ანუ „მზის სამსახურს“, რომელიც ერთგვარი საერთაშორისო გაერთიანებაა, რომლის მთავარი მიზანი მზის სისტემატურსა და განუწყვეტელ დაკვირვებებში მდგომარეობს.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მზის ფიზიკური კვლევა დაარსების პირველი წლებიდანვე დაიწყო. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ევგენი ხარაძის მიერ 1935 წელს შესრულებული შრომა, რომელიც ეძღვნება პულკოვოს ობსერვატორიაში მიღებული სპექტროგრამების საფუძველზე მზის ფოტოსფეროს ფრაუნჰოფერის სპექტრში ბალმერის ხაზების პროფილების სიგანეთა ცვალებადობის მზის აქტივობის ციკლთან კავშირში ერთ-ერთ პირველ მინიშნებას.



ცოტა მოგვიანებით, მისივე ძალისხმევით, ობსერვატორიაში იდგმება ჰეილისეული სპექტროჰელიოსკოპ-ჰელიოგრაფი. ამ ინსტრუმენტის მთა ყანობილზე დადგმამ ჩართო ჩვენი ობსერვატორია მზის სამსახურის საერთაშორისო ქსელში, რითაც უკანასკნელში ერთგვარად შეავსო მაშინ არსებული ხარვეზი არჩეტრიდან (ჩრდილოეთ იტალია) კოდაიკანალამდე (ინდოეთის ნაციონალური ობსერვატორია).

აბასთუმანში არსებულმა კარგმა ატმოსფერულმა პირობებმა – ცის მაღალმა გამჭვირვალეობამ და სტაბილურობამ, აგრეთვე ზომიერმა ტურბულენტობამ, წლის განმავლობაში მონმენდილი დღეების დიდმა რაოდენობამ პერსპექტიული გახადა მზის შემდგომი ფიზიკური კვლევა, რასაც მოჰყვა ობსერვატორიის ახალი სამზეო იარაღებით აღჭურვა დ,ა შესაბამისად, მზის ზედა ატმოსფეროს ყველა ფენის – ფოტოსფეროს, ქრომოსფეროსა და გვირგვინის (კორონის) ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა მზის აქტივობის ციკლთან კავშირში.

1957 წელს ობსერვატორიაში იდგმება სპეციალურად მზის სამსახურისათვის განკუთვნილი სტანდარტული ზომის ფოტოსფერულ - ქრომოსფერული ტელესკოპი და ცოტა მოგვიანებით – რადიოტელესკოპიც.

ფოტოსფერულ-ქრომოსფერული ტელესკოპი უზრუნველყოფს მზის ფოტოსფეროს წარმონაქმნთა ფოტოგრაფირებას და ქრომოსფეროს ვიზუალურ, ფოტოგრაფიულ და კინოფოტოგრაფიულ დაკვირვებებს წყალბადის Hα ხაზში, რომლის მისაღებად იხმარება ტელესკოპში ჩადგმული ინტერფერენციულ-პოლარიზაციული ფილტრი.

აღნიშნული ტელესკოპის მეშვეობით უკვე მეექვსე ათეული წელია, რაც მიმდინარეობს ფოტოსფერული ჩირაღდნებისა და ლაქების სისტემატური დაკვირვებები, ქრომოსფერული ამოფრქვევებისა და მზეზე მიმდინარე ჩქარი პროცესების პატრულირება.

მზის აქტივობის თითქმის ექვსი ციკლის განმავლობაში დაკვირვებული და დამუშავებულია სხვადასხვა სიმძლავრის 10 ათასამდე ამოფრქვევა და ჩქარი პროცესი (ა. ც ხ ო ვ რ ე ბ ა ძ ე).

დამუშავების შედეგები სისტემატურად იგზავნებოდა მონაცემთა სათანადო ცენტრებში, სადაც მათ სპეციალურ ბიულეტენებში ან გამოცემებში აქვეყნებდნენ.

მზის სამსახურში მონაწილეობას ღებულობდნენ და მონაცვლეობით თავისი წილი შეჰქონდათ მზის ფიზიკური კვლევისა და მზის სამსახურში ობსერვატორიაში მუშაობის დამწყებ თითქმის ყველა მეცნიერ-თანამშრომელს. დღესაც, ტრადიციულად, მზის კვლევის განყოფილებაში ახლად მოსული თანამშრომელი პირველ ნათლობას დაკვირვებებში მზის სამსახურისთვის განკუთვნილ ხელსაწყო - იარაღებზე იღებს.

მზის სამსახურში ჩართულ მეორე იარაღს, როგორც აღვნიშნეთ, რადიოტელესკოპი წარმოადგენს. მზის რადიოგამოსხივება პირველად 187 სმ ტალღის სიგრძეზე ჯერ კიდევ 1944 წელს იქნა გამოვლენილი. 1946 წელს ვ. გინზბურგმა და ი. შკლოვსკიმ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აჩვენეს, რომ მზის რადიოგამოსხივების წყაროს, მზის ატმოსფეროს ზედა ფენები წარმოადგენენ – სანტიმეტრიან დიაპაზონში გამოასხივებს ქრომოსფერო, ხოლო მეტრიანში – კი მზის გვირგვინი. ამის მიზეზს მაგნიტურ ველში სწრაფად მოძრავი თავისუფალი ელექტრონები წარმოადგენენ. ეს თეორიული მოსაზრება პრაქტიკულად 1947 წლის 20 მაისის მზის სრული დაბნელების ბრაზილიაში დაკვირვებამ დაადასტურა. მზის ატმოსფეროს კომპლექსური შესწავლის მიზნით, სამი ათეული წლის წინ ობსერვატორიაში დაიდგა მეორე რადიოტელესკოპიც, რომელიც მუშაობდა 9260 მჰც (λ=3,25 სმ) სიხშირეზე და აფიქსირებდა ქრომოსფეროს რადიოგამოსხივებას (შ. მაქანდარაშვილი).

60 - იანი წლების დასაწყისში მზის კვლების ტექნიკური ბაზა ობსერვატორიაში კიდევ უფრო ფართოვდება, სამზეო ჰორიზონტული ტელესკოპის, დაბნელების გარეშე მცირე კორონოგრაფისა და უფრო მოგვიანებით პროფესორ გ. ნიკოლსკის ორიგინალური კონსტრუქციის 53-სმ-იანი ლიოს ტიპის დიდი დაბნელება გარეშე კორონოგრაფის ობსერვატორიაში დადგმამ უზრუნველყო მზის კომპლექსური კვლევა სავსებით თანამედროვე დონეზე.

მდიდარი დაკვირვებითი მასალის საფუძველზე, გამოკვლეული და შესწავლილია ქრომოსფეროს ერთ-ერთი საინტერესო წარმონაქმნების – პროტუბერანცების (როგორც წყნარი, ასევე აქტიური) მთელი რიგი ფიზიკური პარამეტრები: ელექტრონული სიმკვრივე, კინეტიკური ტემპერატურა და სხვა. დადგენილია პოლარიზაციის ხარისხის მნიშვნელობა ქრომოსფეროსა და კორონის ცალკეულ ემისიურ ხაზებში, პროტუბერანცის კაშკაშა კვანძებში კი შეფასებულია მაგნიტური ველის სიდიდეები (ც. ხეცურიანი, მ. გიგოლაშვილი).

მზის ზედა ატმოსფეროს აქტიურ წარმონაქმნებში მათი სტრუქტურისა და დინამიკის კვლევა მზის ფიზიკის ერთ-ერთ საინტერესო ამოცანას წარმოადგენს; კერძოდ, მზის აქტივობის თეორიის შესასწავლად. ამასთან, უკანასკნელ წლებში ფართო განვითარება ჰპოვა მზეზე მსხვილმაშტაბური ფონური მაგნიტური ველების შესწავლამ (ნ.ოღრაპიშვილი).

ობსერვატორიის ჰელიოფიზიკოსები ყოველთვის განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ მზის ატმოსფეროს გარე ფენის – მზის გვირგვინის შესწავლის საქმეს.

მზის კაშკაშა ბადროს გარს შემოვლებული ვერცხლისფერი გვირგვინის დამზერას მხოლოდ სპეციალური სამზეო იარაღებით – ე. წ. კორონოგრაფებით, ან კიდევ უფრო მკაფიოთ მზის სრული დაბნელების იშვიათი წუთების განმავლობაშია შესაძლებელი.

1930 წელს მედონის (საფრანგეთი) ობსერვატორიის ასტრონომმა ბ. ლიომ პირველად შეძლო დაენახა მზის გვირგვინი დაბნელების გარეშე მის მიერ გამოგონილი სპეციალური ხელსაწყოს გამოყენებით. ამ ფაქტმა ახალი ფურცელი გადაშალა მზის ფიზიკის შესწავლის დარგში და იგი დიდად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ასტრონომიის ისტორიაში.

ობსერვატორიაში პატარა დაბნელებაგარეშე კორონოგრაფი 1965 წელს დაიდგა. მთა ყანობილზე არსებულმა ატმოსფეროს შესანიშნავმა გამჭვირვალეობამ, ერთის მხრივ, და ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომლის ე. თეთრუაშვილის დიდმა მონდომებამ და მისი, როგორც დამკვირვებლის სიფაქიზემ, მეორეს მხრივ, ხელი შეუწყო კორონალური ემისიების ნაყოფიერი შესწავლის საქმეს. მდიდარ სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით მან დაადგინა წითელი და მწვანე კორონალური ხაზების პროფილების ნახევარსიგანეთა განაწილების მზის აქტივობის ციკლის ფაზასთან კავშირი. განსაზღვრა კორონის კინეტიკური ტემპერატურა და ტურბულენტური მოძრაობის სიჩქარე.

ქრომოსფეროს ნატიფი სტრუქტურის – სპიკულების და პროტუბერანცების დინამიკური მახასიათებლების გამოკვლევას მაღალი სივრცული და სპექტრული გარჩევის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ობსერვატორიაში წარმოებულ მზის კვლევის ფართო დიაპაზონის სამუშაოებში. ასეთი სახის კვლევის წარმოება დიდი დაბნელებაგარეშე კორონოგრაფის დადგმასთან იყო დაკავშირებული, რომელმაც, საერთოდ, ახალი ფურცელი გადაშალა მზის ქრომოსფეროს კვლევის საქმეში.

1975 წელს ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ვ. ყ ულიჯანიშვილის მიერ დაიწყო წყალბადის Hα სპიკულების სპექტრული დაკვირვებები, მათი დინამიკის შესწავლის თვალსაზრისით.

მაღალი ხარისხის დამზერითი მასალის საფუძველზე, რომლის მიღება ექსპერიმენტალური თვალსაზრისით საკმაოდ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, შესწავლილ იქნა Hα სპიკულთ დოპლერისეულ წანაცვლებათა ყოფაქცევა დროში და სიმაღლის მიხედვით, რამაც სპიკულთა 5 წუთიანი რხევების აღმოჩენამდე მიგვიყვანა.

თეორიულად მის მიერ ნაჩვენები იქნა აგრეთვე ფოტოსფეროში დაკვირვებული ხუთწუთიანი ლეიტონისეული ვერტიკალური რხევების ტრანსფორმაციის შესაძლებლობა ქრომოსფეროში აღმოჩენილ სპიკულთ 5 წუთიან ჰორიზონტალურ რხევებად.

დიდ დაბნელებაგარეშე კორონოგრაფზე ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ე. ხუციშვილის მიერ ფოტოგრაფიული მასალის საფუძველზე განსაზღვრულ იქნა სპიკულთ სიცოცხლის ხანგრძლივობა, ასევე დადგენილ იქნა მათი მოძრაობის ტრაექტორიები და შეიქმნა Hα და D3 სპიკულთ სხივურ სიჩქარეთა სიმაღლის მიხედვით ცვალებადობის ამსახველი კინოფილმები.

მზის გლობალურ და ლოკალურ პულსაციათა გამოკვლევას ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ლ. გეონჯიანი ეწეოდა. მის მიერ მიღებული იქნა როგორც ცალკეული წარმონაქმნების, ისე მთლიანად მზის, როგორც ვარსკვლავის, საკუთრივ მზიური წარმოშობის რხევათა სპექტრი დედამიწის ატმოსფერულ რხევათა გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანია, როგორც მზის შინაგანი აღნაგობის გამოკვლევისათვის, ასევე მის ცალკეულ წარმონაქმნთა მოდელების ასაგებად.

მზის დიფერენციალური ბრუნვის დროითი მახასიათებლები, რომელიც უკანასკნელ წლებში სრულდებოდა მ. გიგოლაშვილის, ე. ხუციშვილისა და დ. ჯაფარიძის მიერ ფოტოსფერულ - ქრომოსფერულ ტელესკოპზე მიღებული ხანგრძლივი ერთგაროვანი მასალის დამუშავების საფუძველზე, ფოტოსფერული ლაქების, კალციუმის ფლოკულების, ფოტოსფერულ ჩირაღდანთა კუთხურ სიჩქარეთა განსაზღვრის მეშვეობით, საშუალებას იძლევა გამოკვლეული იქნას მზის დიფერენციალური ბრუნვის ცვლილებანი დროში, გამოვლენილ იქნას მზის ლაქების დიფერენციალურ ბრუნვასა და მზის აქტივობის ციკლს შორის კავშირის ზოგიერთი კანონზომიერებანი, რასაც უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მზის აქტივობის ციკლთა თავისებურებების ახსნის საქმეში.

ობსერვატორიაში ჩატარებული მზის კვლებითი სამუშაოების მიმოხილვისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ მოსკოველი ცნობილი სპეციალისტი, ან განსვენებული პროფესორი გენადი ნიკოლსკი, რომელსაც ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა შესრულებაში, ობსერვატორიის მზეზე მომუშავეებთან წამყვანი შემოქმედებითი თანამშრომლობით.

მზის შესწავლის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აფართოვებს მისი დაკვირვებები მზის სრული დაბნელების წუთებში.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციებმა ობსერვატორიის დაარსებიდან დღემდე მონაწილეობა მიიღეს მზის 20 სრული დაბნელების დაკვირვებაში. სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამშრომელთა ხელმძღვანელობით (მ. ვ აშაკიძე, ც. ხეცურიანი, გ. სალუქვაძე და ვ. ყულიჯანიშვილი). ამ დროის განმავლობაში მოეწყო 26 სამეცნიერო ექსპედიცია, რომელთაგან 16 შემთხვევაში დაკვირვება კარგ ატმოსფერულ პირობებში ჩატარდა. მზის ამ სრული დაბნელებების დასაკვირვებლად ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომლებმა დაახლოებით 250 ათას კმ-მდე მანძილი გაიარეს და ყოფილი საბჭოთა კავშირის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის სხვადასხვა პუნქტებში მზის გვირგვინს საერთო ჯამში 51 წუთის განმავლობაში დააკვირდნენ.

მიღებული დამზერითი მასალის საფუძველზე მზის გვირგვინის კვლევა ობსერვატორიაში სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა. შეისწავლებოდა მზის გვირგვინის რადიომეტრული, ფოტომეტრული და პოლარიზაციული მახასიათებლები.

რადიომეტრული დაკვირვებები გულისხმობდა გვირგვინის სიკაშკაშის შეფასებასა და მისი ცვალებადობის დადგენას, ამასთანავე, ინფრაწითელი ექცესის, ანუ სიჭარბის გაზომვას. ამ უკანასკნელის არსებობა გვირგვინში პასუხს იძლევა კორონული გამოსხივების წარმოშობის მექანიზმის ბუნებაზე.

გვირგვინის პოლარიზაციული გამოკვლევები ობსერვატორიის ექსპედიციათა სამეცნიერო პროგრამის ტრადიციულ ამოცანად ითვლება, რაც მზის აგებულების შესახებ არსებული თეორიული მოდელების შემონმებისა და სტრუქტურული წარმონაქმნების სამ განზომილებიანი სივრცული სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

მზის გვირგვინის პოლარიზაციული კვლევის შემდგომ ეტაპზე სხვა Hα დაკვირვებებთან ერთად ყურადსაღებია ჩვენს ობსერვატორიაში შესრულებული სამუშაოებიც. აქ მხედველობაში გვაქვს კ. ზახარინის შრომები, რომლებიც მზის სრულ დაბნელებას 1936 წელს მდინარე ურალის ნაპირას, სოფ. კალენოეს მახლობლად დააკვირდა. შემდეგ ამას მოყვა მთელი სერია მზის სრული დაბნელებებისა, რომლებიც მ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა: 1941 წელს ალმა-ატაში; 1946 წელს კარელია - ფინეთში; 1947 წელს ბრაზილიაში; 1952 წელს შუა აზიასა და 1954 წელს ლაგოდეხში, რომელთა შორის სამმა დაბნელებამ კარგ ატმოსფერულ პირობებში ჩაიარა. ამ დაკვირვებების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ კორონაში სინათლის პოლარიზაციის ხარისხი მჭიდრო კავშირშია კორონის ფორმასთან, ამასთან, იგი არ არის დამოკიდებული სინათლის ტალღის სიგრძეზე; ეს უკანასკნელი მიუთითებს იმაზე, რომ კორონაში სინათლის გაბნევა ნეიტრალურია და იგი განპირობებულია მხოლოდ თავისუფალი ელექტრონებით. ეს თეორია პირველად შვარცშილდმა წამოაყენა. მ. ვაშაკიძის დაკვირვებებმა ის პრაქტიკულად დაადასტურა.

1961 წლის 15 თებერვლის მზის სრული დაბნელება დონის როსტოვში აბასთუმნის სამეცნიერო ექსპედიციისათვის უშუდეგო აღმოჩნდა, სრული მოღრუბლულობის გამო. შემდეგ ამას მოჰყვა მზის სამი სრული დაბნელება, რომლებიც კარგ ატმოსფერულ პირობებში ჩატარდა.

1968 წელს დასავლეთ ციმბირში, 1972 წელს ჩუკოტკაზე და 1973 წელს მავრიტანიაში (აფრიკა). ამ დაბნელებების დროს მიღებული ფოტომეტრული და პოლარიზაციული დამზერითი მასალის დამუშავება ც. ხეცურიანის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. რის შედეგად მოხდენილია კორონის K და F მდგენელებად გაყოფა, გამოთვლილია კორონის საშუალო სიმკვრივე, ტემპერატურა, შესწავლილია მათი ცვლილების ხასიათი მანძილის მიხედვით. შუა კორონული არეებისათვის მიღებული შედეგები კარგ თანხვდენაშია ვან დეხულსტის თეორიულ მოდელთან, მაშინ როდესაც გარე კორონული არეებისათვის შეინიშნება თეორიული მოდელიდან მნიშვნელოვანი გადახრა, რაც ძირითადად ცის ფონის გავლენის არასაიმედო შეფასებითაა გამოწვეული.

ობსერვატორიის მაღალმა ტექნიკურმა შესაძლებლობებმა და ახალი საექსპედიციო იარაღების შექმნის დიდმა გამოცდილებამ განაპირობა კიდევ უფრო დახვეწილიყო გვირგვინის შემდგომი ელექტროპოლარიმეტრული დაკვირვებები, რაც პირველად 1981 წლის 31 ივლისის მზის სრული დაბნელების დროს განხორციელდა.

მზის სრულ დაბნელებებზე (1994 წლის 3 ნოემბერი – ბრაზილია, 1995 წლის 24 ოქტომბერი – ინდოეთი, 1997 წლის 9 მარტი – რუსეთი, 1999 წლის 11 აგვისტო – თურქეთი, 2001 წლის 21 ივნისი – აფრიკა, 2006 წლის 29 მარტი – ეგვიპტე, 2009 წლის 22 ივლისი – ჩინეთი), რომლებიც კარგ ატმოსფერულ პირობებში ჩატარდა ერთი სრული დაბნელების გარდა ვ. ყულიჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, ფოტოგრაფიულ პოლარიმეტრთან და სხვადასხვა ახლად შექმნილ საექსპედიციო ტელესკოპებთან ერთად, გამოიყენებოდა ასევე ობსერვატორიის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ლაბორატორიაში ა. მაიერის მიერ შექმნილი ახალი ელექტროპოლარიმეტრიც, სკანირების ორიგინალური კვანძით, რომლის მართვა ხორციელდებოდა პერსონალური კომპიუტერით. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააფართოვა მზის გვირგვინის შემდგომი ფოტომეტრული და პოლარიმეტრული კვლევები, რამაც მნიშვნელოვან შედეგამდე მიგვიყვანა როგორც გვირგვინნში პოლარიზაციის ხარისხის, ასევე პოლარიზაციის სიბრტყის ზუსტი მიმართულების დადგენის თვალსაზრისით.

დღეისათვის ობსერვატორიის ჰელიოფიზიკოსების ყურადღება მიპყრობილია მომავალი 2024 წლის 8 აპრილის მზის სრული დაბნელების დასაკვირვებლად, რომლის სრული ფაზის ზოლი მექსიკისა და ამერიკის ტერიტორიებს გადაკვეთს; დიდი იმედი გვაქვს, რომ კოვიდ პანდემია, რომელმაც ხელი შეგვიშალა 2020 წლის 14 დეკემბრის მზის სრული დაბნელებების ექსპედიციული წესით დაკვირვების საქმეში, საბოლოოდ დასრულდება და აღნიშნულ დაბნელებას წარმატებით დავაკვირდებით.

ვაჟა ყულიჯანიშვილი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ჩემი უფროსი მეგობარი

ევგენი ხარაძე

ბატონ ევგენის 55 წელი ვიცნობდი. 1946 წელს გავიცანი, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტმა. მისმა ბრწყინვალე ლექციებმა ისე მომხიბლა, რომ საბოლოოდ გადავწყვიტე ასტრონომი გამოვსულიყავი. შემდგომში ჩვენი ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და მტკიცდებოდა, ბოლოს კი მეგობრობაში გადაიზარდა. ქვემოთ მოგითხრობთ, თუ როგორ გავხდი ბატონი ევგენის, როგორც აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ასპირანტურის კურსი ბატონი ევგენის ხელმძღვანელობით გავიარე. 1955 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. 1956 წელს დამამტკიცეს მზისა და მთვარე-პლანეტების გამოკვლევათა განყოფილების გამგედ. 1957 წელს ბატონმა ევგენიმ შემომთავაზა შეთავსებით, დროებით, დამეკავებინა ობსერვატორიისათვის ახლად გამოყოფილი საშტატო თანამდებობა დირექტორის მოადგილისა სამეცნიერო ნაწილში. მე, სრულიად გულწრფელად, ვუპასუხე – არ გამოგადგებით-მეთქი. – ვსინჯოთო, მითხრა.

ერთი წლის შემდეგ დავწერე განცხადება, რომელშიც ვთხოვდი ბატონ ევგენის გავეთავისუფლებინე დირექტორის მოადგილეობიდან (ეს განცხადება, სათანადო რეზოლუციით, არქივში ინახება). საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, მე ისეთი ნატურის კაცი ვარ, ნამდვილად არ მხიბლავდა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობა. მეორეც, გულახდილად ვამბობ, ბატონი ევგენის დიდი ტალანტი და უზარმაზარი ენერგია, მისი მრავალმხრივი განსწავლულობა და უზადო ინტელიგენტობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დათრგუნვის მაგვარ გრძნობას იწვევდა ჩემში. სულ მეჩვენებოდა, რომ მე სათანადოდ ვერ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ასე იყო თუ ისე, ბატონმა ევგენიმ დააკმაყოფილა ჩემი განცხადება, თუმცა, რატომღაც, იქვე მითხრა, – იცოდეთ, ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება არ არისო.

1959 წლის მაისი იყო. ობსერვატორიაში ვარ, მთა ყანობილზე. ბატონი ევგენი ჩამოვიდა თბილისიდან. მალე მიხმო თავის კაბინეტში. ხანმოკლე საუბრის შემდეგ შემატყობინა, რომ

ევგენი ხარაძის ოჯახი

იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს. მე გულთბილად მივულოცე. – გაგეხარდათო? – მკითხა. ნამდვილად გასახარელი და დიდად საპატიოა ასეთი დაწესებულების ხელმძღვანელად დანიშვნა, მაგრამ ობსერვატორიას უთქვენოდ რა ეშველებამეთქი.

– არაო, – მითხრა, – რექტორად შეთავსებით ვიქნები, თქვენ კი ჩემს მოადგილედ დაგნიშნეს ობსერვატორიაშიო. ეს ჩემთვის მეტად მოულოდნელი ამბავი იყო და გაკვირვებულმა ვკითხე, – თქვენ ხომ იცოდით, რომ მე დირექტორის მოადგილეობა არ მინდოდა, რატომ მოხდა ასე-მეთქი? – თქვენ გგონიათ, მე მინდოდა რექტორობაო? – მიპასუხა. ცეკას მდივანმა ვასილ მჟავანაძემ მიმიწვია თავისთან, საათნახევარი მესაუბრა და მთხოვა, დავთანხმებულიყავი მის წინადადებას: ასეთი აზრია ცეკასა და მთავრობაში, უნდა დაგვეხმაროთ, დროებით, ერთი-ორი წლითო. რას ვიზამდი, ხომ არ ავდგებოდი და კარს მივუჯახუნებდიო. ერთადერთი, რასაც ჩავეჭიდე, ის იყო, რომ ჩემი სპეციალობა ასტრონომიაა და ობსერვატორიის დატოვება არ შემიძლია-მეთქი. – არაო, მითხრა, ჩვენ შეთავსებით მუშაობას გთხოვთ, ოღონდ დაგვთანხმდით და ობსერვატორიაში ვისაც თქვენ დაასახელებთ, იმას დაგინიშნავთ მოადგილედო. მე თქვენი გვარი დავუსახელე. ახლა, მე თუ არ მეთანხმებით, წაბრძანდით თბილისში და დაარწმუნეთ მჟავანაძე თქვენი შეხედულების სისწორეშიო.

რა უნდა მექნა? იქ, სადაც ბატონმა ევგენიმაც კი ვერ შეძლო თავისი შეხედულების დაცვა, მე რას მოვახერხებდი? ბოლოს, გაოგნება რომ შემატყო, ბატონმა ევგენიმ დამიყვავა და მითხრა: რა ვქნათ, ვიქტორ, ჩვენს ბედს უნდა დავემორჩილოთ, ეს ორი წელი მალე გაივლის და ჩვენც ძველ მდგომარეობას დავუბრუნდებითო.

მე ამ ორი წლის განმავლობაში ძალიან გამიძნელდა მუშაობა, მაგრამ თავს არ ვზოგავდი და ვცდილობდი ჩემი მოვალეობა კეთილსინდისიერად შემესრულებინა. დათქმული ვადის შემდეგ კვლავ დავწერე განცხადება მოადგილეობიდან განთავისუფლების თხოვნით და ბატონ ევგენის გადავეცი. მან განცხადება წაიკითხა, გაკეცა, წვრილად დახია და იქვე სანაგვე კალათაში ჩაყარა. მერე მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა: ამაზე ამბობენ, განცხადება თავზე გადაახიაო! მე სახტად დავრჩი, აღარ ვიცოდი რა მექნა. ბოლოს თვითონვე გამომიყვანა მდგომარეობიდან. მითხრა, მეც შევახსენე ცეკას და მთავრობას მოცემული პირობა, მაგრამ გვთხოვეს, ცოტა ხანს კიდევ იმუშავეთო.

ეს „ცოტა ხანი“ თითქმის შვიდ წელიწადს გაგრძელდა. ბატონი ევგენი, მისთვის დამახასიათებელი დიდი პასუხისმგებლობით, გულმოდგინებით და ტიტანური ენერგიის დახარჯვით, ასრულებდა უნივერსიტეტის რექტორისა და ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობებს. სწორედ ამიტომ ითვლება იგი ერთ-ერთ საუკეთესო რექტორად უნივერსიტეტის ისტორიაში.

სხვათა შორის, როცა, ბოლოს და ბოლოს, ბატონი ევგენი გათავისუფლდა რექტორობიდან, მე მას მივულოცე და ვუთხარი, ძალიან გამეხარდა, რომ თქვენ ასეთი მძიმე ტვირთი მოიშორეთ-მეთქი. მან კი, იცით რა მითხრა? – უნივერსიტეტშიც არიან თანამშრომლები, რომელთაც აგრეთვე გაეხარდათ ჩემი იქიდან წამოსვლა, მაგრამ ეს რომ ასე არ იყოს, მე იქ მუშაობას უნაყოფოდ ჩავთვლიდიო...

აკადემიკოსები ილია ვეკუა,
ევგენი ხარაძე და ვიქტორ ამბარცუმიანი

ბატონი ევგენი უაღრესად თავდაჭერილი, აღზრდითა და დარბაისლობით გამორჩეული ინტელიგენტი, დიდი მოთმინებისა და პაექრობის უებარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. სწორედ ამ თვისებებმა შეაძლებინა მას რაინდულად გადაეტანა მედროვეთა მიერ ორგანიზებული, ინტელიგენციაზე უზნეო, ბრიყვული თავდასხმის ყველასათვის კარგად ცნობილი პერიოდი და დარჩენილიყო თავისი სამშობლოს ღირსეულ მოქალაქედ და პატრიოტად.

რაც შეეხება ჩემს მუშაობას ობსერვატორიაში დირექტორის მოადგილედ, მე ამ თანამდებობაზე 35 წელიწადი დავყავი (შემდგომში ბატონი ევგენი, აგრეთვე შეთავსებით, დიდხანს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯერ ვიცე – პრეზიდენტად, მერე კი – პრეზიდენტად). ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე ბატონი ევგენისგან და ბევრი რამ საინტერესოც მოხდა ჩვენს ურთიერთობაში. მე ყოველთვის ვგრძნობდი ბატონი ევგენის მტკიცე მხარდაჭერას, როგორც ადმინისტრაციულ-მეცნიერულ მოღვაწეობაში, ისე ჩემს პირად ცხოვრებაში.

არაერთხელ უთქვამს ბატონ ევგენის ჩემთვის, ჩვენ ხომ მეგობრები ვართო, რაც დიდ სიამოვნებას მგვრიდა. იგი 17 წლით იყო ჩემზე უფროსი და ყოველთვის ვთვლიდი, რომ ბატონი ევგენი არ მხოლოდ ჩემი მასწავლებელი – მენტორი, არამედ გაცილებით უფრო ახლობელი ადამიანი იყო.

პროფესორი ვიქტორ ჯაფიაშვილი

საქვეყნოდ ცნობილი ევცნიერი

აღმოსავლური ანდაზა – „დიდი ადამიანები მოდიან, მაგრამ არ მიდიან” – სწორედ ბატონი ევგენის სადარ ადამიანებზეა ნათქვამი. მან ხომ მთელი ცხოვრება საქვეყნო საქმეს შეალია. მე წილად მხვდა ბედნიერება, სამი ათეული წლის განმავლობაში, მქონოდა ფართო ურთიერთობა ბატონ ევგენისთან. ცხადია, მოსაგონარიც უამრავი მაქვს. აი ზოგიერთი მათგანი:

***

1995-2001 წლებში ბატონი ევგენი და მე ვიყავით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრები. საბჭო, დაახლოებით, თვეში ერთხელ იკრიბებოდა. წესად მქონდა, როცა თბილისში ვიყავი, დიდი საბჭოს სხდომის წინა დღეს დავურეკავდი ხოლმე ბატონ ევგენის და ჩემს მანქანას ვთავაზობდი საბჭოს სხდომაზე წასასვლელად. ზოგჯერ იგი თავისი მანქანით მოჰყავდა მძღოლს. ერთხელ, სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა: მან მითხრა, რომ, თავისი მანქანით მოვიდოდა. მეორე დღეს, საბჭოს დაწყების წინ, უნივერსიტეტის შესასვლელთან დაველოდე ბატონი ევგენის მოსვლას. იგი სხდომის დაწყებამდე 5-10 წუთით ადრე გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ დღეს ასე არ მოხდა: სამეცნიერო საბჭოს სხდომა დაიწყო, ბატონი ევგენი კი არ ჩანდა. გადავწყვიტე, დავსწრებოდი სხდომას და შემდეგ გამერკვია, თუ რა მოხდა. მართლაც, სხდომის დასრულებისთანავე ვესტუმრე ბინაზე. მან დამინახა თუ არა, მითხრა, რომ მძღოლმა სულ რამდენიმე წუთით დაიგვიანა მოსვლა და ვერ მივეცი თავს უფლება მე საბჭოს სხდომაზე დამეგვიანაო. ეს მაშინ, როდესაც ამ სხდომაზე მასზე ხანდაზმული და დამსახურებული პიროვნება იმ დღეს არავინ ყოფილა. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, იმჟამინდელი რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ბატონი ევგენის რექტორობის დროინდელი სტუდენტი გახლავთ.

***

ბატონ ევგენის ბევრჯერ შევსწრებივარ მაღაზიებში, წიგნების შეძენისას. ერთი და იგივე დასახელების წიგნს იგი ყოველთვის წყვილად, ორ ცალს ყიდულობდა. მე ვთვლიდი, რომ ერთი სახლისათვის უნდოდა – მეორე ობსერვატორიისათვის, მაგრამ როცა ობსერვატორიაში ჩავდიოდი, ორივე წიგნი მხვდებოდა ბიბლიოთეკაში. ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებდა, რომ ობსერვატორია მისთვის მშობლიური სახლი იყო.

***

ახალციხეში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა რესპუბლიკაში განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკური პირობები იყო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თბილისის უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებისათვის გადმოგვცა, დროებით სარგებლობაში, მინის ნაკვეთი. იქ გავიცანი ერთი ასაკოვანი კაცი, ქვის მთლელი, რომელსაც ადრე ობსერვატორიის ტელესკოპების შენობათა სამუშაოების შესრულებაში მიუღია მონაწილეობა. მან მიამბო, რომ ევგენი ხარაძე საკმაოდ კარგ გასამრჯელოს გვიხდიდა სამუშაოს შესრულებისთვისო. მიუხედავად ამისა, თურმე, როცა ბატონი ევგენი თბილისიდან ჩამოდიოდა, საკუთარი ჯიბიდანაც უმატებდა ფულს მუშებს და ეუბნებოდა – „გულიანად იმუშავეთო“.

***

ბატონი ევგენი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული ენის სიწმინდეს. მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: ასტრონომიის კათედრაზე მუშაობდა დოცენტი გალაქტიონ ქევანიშვილი. ერთხელ, ადრეულ პერიოდში, როცა იგი, ჯერ კიდევ კათედრის ლაბორანტის ფუნქციას ასრულებდა, მოიწადინა უნივერსიტეტის საწყობიდან ასტრონომიის კათედრის საჭიროებისათვის გამოეწერა უცხოური წარმოშობის სახელის მქონე სამეურნეო მასალა „დიქტი“, მაგრამ ივარაუდა, რომ, თუ მოთხოვნის ფურცელზე „დიქტს“ დაწერდა, ბატონი ევგენი, როგორც კათედრის გამგე, ხელს არ მოუწერდა, ამიტომ ბატონმა გალაქტიონმა ლექსიკონში მოიძია „დიქტის“ ქართული შესატყვისი – ,,ფირფიცარი“ და ეს სიტყვა იხმარა განცხადებაში. ბატონმა ევგენიმ გალაქტიონს შეუქო ქართული და უყოყმანოდ მოუწერა ხელი. მაგრამ ახლა პრობლემა შეექმნა საწყობის გამგესთან, რომელმაც აუხსნა, რომ ასეთი დასახელების მქონე საქონელი ,,ფირფიცარი“ არც ადრე და არც ახლა საწყობში არ მიუღიათ. მაშინ გალაქტიონმა მიუთითა ადგილი, სადაც ფირფიცრები ეწყო, საწყობის გამგემ უსაყვედურა: თუ ეს საქონელი გინდოდათ რატომ არ დაწერეთ „დიქტიო“ და მოითხოვა ლექსიკონი, რათა შეემოწმებინა „დიქტის“ ქართული შესატყვისი მართლა იყო თუ არა „ფირფიცარი“.

დოცენტი გალაქტიონ ქევანიშვილი რაჭველი კაცი გახლდათ. სანამ იგი საწყობის გამგეს ლექსიკონს მიუტანდა, მანამდე საწყობიდან ასეთი დასახელების საქონელი გაიტანეს სხვებმა, მათ ვისაც მოთხოვნის ფურცელში ,,დიქტი“ ეწერათ. ასე, რომ, ასტრონომიის

ევგენი ხარაძე და აკაკი შანიძე

კათედრა იმხანად დარჩა ფირფიცრის გარეშე, მაგრამ არ უღალატა ქართული ენის სიწმინდეს!.

***

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა რესპუბლიკაში მდგომარეობა ეკონომიკური კუთხით დამძიმდა, ბატონმა ევგენიმ საზღვარგარეთული სტიპენდიის (იმხანად მხოლოდ აკადემიკოსები ე.ხარაძე და გ. ციციშვილი იღებდნენ ასეთ სტიპენდიას) დიდი ნაწილი რამდენჯერმე გაუნაწილა ასტრონომიის კათედრის წევრებს. მე პირადად ნაჩუქარი თანხით შევიძინე ტახტი, რომელიც ჩემთვის ოჯახურ რელიკვიას წარმოადგენს.

პროფესორი *რევაზ ჭილლაძე*

უ ხ ვ დ ა ვ ე ბ ა

ჯუმბერ ლომინაძე

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი მოღვაწეობით წარუშლელ კვალს ტოვებენ თავისი ქვეყნის ცხოვრებაში. ასეთი პიროვნება გახლდათ აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, რომელმაც საქართველოში დააფუძნა ასტრონომიული მეცნიერება. სრულიად ახალგაზრდა კაცი, 1932 წლის 8 თებერვალს დაინიშნა დირექტორად არარსებული, საბჭოთა კავშირში პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიისა, რომელსაც 60 წელი უძღვებოდა. აქედან დაიწყო ქართული ასტრონომიის ისტორია. მე წილად მხვდა დიდი პატივი და ბედნიერება, როდესაც აკადემიკოსმა ე.ხარაძემ 1991 წელს შემომთავაზა გავძღოლოდი მის მიერ დაარსებულ ობსერვატორიას. ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში (2000 წლამდე) მომიხდა ვყოფილიყავი ობსერვატორიის ხელმძღვანელი. ბატონ ევგენისთან ჩემი უშუალო ურთიერთობა 1974 წლიდან დაიწყო, როდესაც აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ (მე ის ადრე მიცნობდა, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის (1951-1955 წ.წ.) პერიოდში მას ხშირად ვხვდებოდი. შემომთავაზა, სამუშაოდ გადავსულიყავი აკადემიის პრეზიდიუმში სწავლული მდივნის თანამდებობაზე. იმჟამად მე გახლდით ფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი და, ერთდროულად, ვხელმძღვანელობდი მცირერიცხოვან ჯგუფს პლაზმის ფიზიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. ეს ინსტიტუტი ბატონი ილიას დაარსებული იყო და თავადვე ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდს დაემთხვა აბასთუმნის ობსერვატორიაში თეორიული ასტროფიზიკის ჯგუფის დაარსება. და, წარმოიდგინეთ, რომ აკადემიის პრეზიდენტი ილია ვეკუა და ვიცე-პრეზიდენტი ევგენი ხარაძე საუბრობდნენ, სად უნდა გაგრძელებულიყო ჩემი მეცნიერული მუშაობა: გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში თუ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. საბოლოოდ გადაწყდა, რომ მე სამეცნიერო მუშაობას გავაგრძელებდი ობსერვატორიაში. და, მართლაც, 1976 წელს ბ-ნი ევგენის ხელშეწყობით ობსერვატორიაში დავაარსე პლაზმური ასტროფიზიკის ჯგუფი, რომელიც 1977 წელს განყოფილებად ჩამოყალიბდა. ერთდროულად, 1974 წელს, ბ-ნი ილიას წინადადებით სამუშაოდ გადავედი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, სადაც ბ-ნი ევგენი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო. ამ დროიდან მოყოლებული, შესაძლებლობა მქონდა უშუალოდ მემუშავა მასთან როგორც აკადემიაში, ისე აბასთუმნის ობსერვატორიაში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის დიდი მზრუნველობა და დახმარება, რომელიც ბატონმა ევგენიმ გამოიჩინა მეცნიერების ახალი მიმართულების – პლაზმური ასტროფიზიკის დაარსებასა და განვითარებაში. მისი დამსახურებაცაა, რომ ამ განყოფილების თანამშრომლების მიერ მიღებულ იქნა მრავალი საინტერესო შედეგი, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. ამავე დროს, ჩვენი ინიციატივით, დაარსდა საერთაშორისო „ვორკშოპი“ და სკოლა ,,ვარენა-აბასთუმანი“. ჩატარდა შეხვედრები 1984 (ვარენა), 1986 (სოხუმი), 1988 (ვარენა), 1990 (თელავი), 1992 (იაპონია), 1994 (გერმანია), 2000 (ბორჯომი) წლებში და სხვ. განუსაზღვრელია ევგენი ხარაძის დამსახურება აბასთუმნის ობსერვატორიის განვითარებასა და საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვების საქმეში. საყოველთაოდ ცნობილია მისი მეცნიერული შედეგები და დიდი საერთაშორისო სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობა. შევეცდები გავიხსენო ჩემი მასთან ურთიერთობის ზოგიერთი მომენტი და მისი, როგორც ადამიანის, თვისებები. 1982 წლიდან ვიყავი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (ეს თანამდებობა ბატონმა ევგენიმ შემომთავაზა, როგორც აკადემიის პრეზიდენტმა), ამ განყოფილების წევრები იყვნენ და არიან მსოფლიოში სახელგანთქმული მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ასტროფიზიკოსები. მათ შორის ჩვენი აკადემიის ყველა პრეზიდენტი, მეცნიერებათა აკადემიის წევრები და მრავალი სხვა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ განყოფილების ზოგიერთ წევრს შორის (ა.ბიწაძე, ნ.ვეკუა, ვ.კუპრაძე, ბ.ხვედელიძე და სხვ.) ხშირად ძალიან ცხარე კამათი იმართებოდა. რა თქმა უნდა, მე ძალიან მიჭირდა და მერიდებოდა აქტიურად ჩავრეულიყავი კამათში. ამიტომ ერთ-ერთ რთულ (რაც წინასწარ იყო ცნობილი) სხდომაზე სპეციალურად მოვიწვიე ბ-ნი ევგენი (იგი მაშინ აკადემიის პრეზიდენტი გახლდათ). მიუხედავად მისი დიდი ტაქტის, ავტორიტეტისა და გავლენისა, მასაც კი გაუჭირდა მოკამათეთა დაშოშმინება. მისი მეგობრობა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან შესაშური იყო. პირველ რიგში, მე აღვნიშნავ ბატონ ილია ვეკუას, რომელთანაც მას ახლო და გულთბილი მეგობრობა აკავშირებდა. ისინი ერთ წელს დაიბადნენ (1907), ბატონი ილია აპრილში, ბატონი ევგენი ოქტომბერში. 1977 წელს ილია ვეკუა, უკვე უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, მოსკოვში თავისი ხელით წერდა ბ-ნი ევგენის 70 წელთან დაკავშირებულ მისალოცს წერილს, რომელიც მე ჩამოვიტანე თბილისში. მისაბაძია ის ურთიერთპატივისცემა და მრავალწლიანი ურთიერთობა, რომელიც ორი ობსერვატორიის დირექტორებს – ვიქტორ ამბარცუმიანს და ევგენი ხარაძეს ჰქონდათ, მისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ურთიერთობა გამოჩენილ მეცნიერებთან, აკადემიკოსებთან ა.ბოიარჩუკთან, ნ.კარდაშოვთან, ა.სევერნისთან, ა.ჩერეპაშჩუკთან, პროფ. ა.მასევიჩთან და სხვ.

აღნიშვნის ღირსია ბატონი ევგენის განსაკუთრებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართ, ზრუნვა ჩვენი აკადემიის ერთ-ერთ მარგალიტზე ხელნაწერთა ინსტიტუტზე, დიდი ყურადღება ლიტერატურის, ენის, ისტორიის, არქეოლოგიის, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, სახელმწიფო და სამართლის დარგების მიმართ. ევგენი ხარაძე უაღრესად განათლებული და დიდი მწიგნობარი გახლდათ. მე ვიცნობდი მის ბიბლიოთეკას თბილისში და ყანობილზე, სადაც უამრავი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა იყო თავმოყრილი. ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის წიგნი იყო. არ დამავიწყდება მოგზაურობა მასთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად სვანეთში, ხარაგაულის გავლით. ბატონ ევგენის, ისევე, როგორც მის უფროს ძმას ბატონ არჩილს, თავდავიწყებით უყვარდა თავისი მშობლიური სოფელი ფარცხნალი, სადაც ჩვენ ორი დღე გავატარეთ. ეზოში კაკლის ხის ქვეშ ღამის გათევა, როგორც ეგზოტიკა, ისე მაგონდება. შემდეგ იყო მეტად საინტერესო მარშრუტი – ქუთაისი, ზუგდიდი, მესტია... 90-იანი წლებიდან, ისევე როგორც მთელს საქართველოში, ობსერვატორიაშიც არა მარტო მეცნიერული მუშაობის, არამედ ცხოვრების უმძიმესი პირობები შეიქმნა. მდგომარეობას თვით ობსერვატორიის სპეციფიკაც ამძაფრებდა. მახსოვს, ბატონმა ევგენიმ ერთხელ, საუბრის დროს, მითხრა, რომ, საერთოდ, ობსერვატორია ჩაკეტილი სისტემაა და იქ ყოფაცხოვრების პირობები კიდევ უფრო რთულია. 1994 წლის ზაფხულს მსოფლიოს ასტრონომები მოუთმენლად ელოდნენ გიგანტ პლანეტა იუპიტერთან შუმეიკერ-ლევის კომეტის შეჯახებას. რასაკვირველია, ობსერვატორიას დიდი სურვილი ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ მოვლენის დაკვირვებაში. უდიდესი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ არ იყო ელექტროენერგია. ამიტომ ერთადერთი წყარო იყო დიზელ-გენერატორი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც საწვავი გვქონდა. გადავწყვიტე მიმემართა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ო.ფაცაციასათვის, რამდენიმე ტონა საწვავის გამოსაყოფად. ბატონმა ევგენიმ და მე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დავსწრებოდით მინისტრთა საბჭოს სხდომას. კარგად მახსოვს, ფეხით მივედით სხდომაზე. იქ მომიხდა მეცნიერული ინფორმაციის გაკეთება კომეტის შესახებ, რომლითაც სხდომის წევრები დაინტერესდნენ, რამაც, ალბათ, ხელი შეუწყო ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილებას. დაუფასებელია ყოველდღიური ზრუნვა, რასაც ბატონი ევგენი იჩენდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიმართ, როგორც მეცნიერი და როგორც საზოგადო მოღვაწე. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა, ნიჭი და თავდადება მოახმარა მისი პირმშოს – აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის განვითარებას, უკვდავია მისი სახელი, ისევე, როგორც მარადიულია ჩვენი სამყარო.

აკადემიკოსი *ჯუმბერ ლომინაძე*

საიუბილეო მასალა მოამზადა
რევაზ ჭილლაძემ

ჯემალ მეხრიშვილი

რჩეულთა ხვედრი

„ლიტერატურაში არსებობს მხოლოდ ერთი ხელოვნება – გამოტოვების ხელოვნება!“

რობერტ სტივენსონი (1850-1894)

გამოტოვების ხელოვნება!!!

მართლაც, რას ემგვანებოდა მსოფლიო ლიტერატურა, ყველა დროის ჭეშმარიტი მწერლები რომ არ მიმართავდნენ გამოტოვების ხელოვნებას!..

მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა სავსეა გამოტოვების ხელოვნების ქრესტომათიული ნიმუშებით და ამ შემთხვევაში თუგინდ რამდენიმე მათგანის მარტო დასახელება და მით უმეტეს, გარჩევა, ჩემი მხრიდან, სირეგვნეზე უარესი იქნებოდა!

ამის მიუხედავად, თავს მაინც ვერ ვიკავებ, მავანთა გასაკენწლად და დებიუტანტების გასათვალისწინებლად არ შევეხო ერთ-ერთ მათგანს, რომელიც გამოტოვების ხელოვნების გენიალურ მაგალითად მიმაჩნია.

მხედველობაში მაქვს აკაკი წერეთლის პოემა ,,გამზრდელი“.

მკითხველებმა კარგად იციან, უკუნეთ ღამეში, თანაც იმ კოკურ თავსხმასა და მეხთატეხაში ,,მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად“ შეყუჟულ ფაცხაში ერთი თვის შერთულ მეუღლესთან ერთად მცხოვრებ ბათუს ცხენდაცხენ რისთვის მიადგება თავისი ძუძუმტე საფარ-ბეგი.

საფარ-ბეგს თავდავიწყებით შეჰყვარებია იმ მხარეში სილამაზითა და პატიოსნებით განთქმული ზია-ხანუმი! მაგრამ ქალს თავისი მორიგი თაყვანისმცემლისთვის საბედისწერო პირობა წამოუყენებია: თუ მართლა გიყვარვარ, ინალიფას ლურჯა ცხენი სამ დღეში უნდა მომგვაროო!

ამგვარი დავალება, ახირება თუ სადისტური გამოცდა რანაირ სამკვდრო-სასიცოცხლო ხიფათთანაა დაკავშირებული, საფარ-ბეგი ძიძიშვილს მიუკიბ-მოუკიბავად უხსნის.

ინალიფა მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

ბათუს გუნება წაუხდება, როცა შეიტყობს, თავის ძუძუძმას ასეთი საუგო დავალების შესრულება რომ უკისრია! მაგრამ თანაშეზრდილისადმი უანგარო თავდადებისა და წმინდა სიყვარულისადმი ქედმოხრის ნიშნად სტუმარს მზადყოფნას უცხადებს, მისი განაზრახის შესრულება თვითონ იკისროს, როგორც ადგილობრივი გარემოება-ვითარების ზედმიწევნით მცოდნემ! თუმც ამავე დროს შეგნებული აქვს ამის საფათერაკო მხარეც.

შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!

აქ ამაზე მეტი და ამაზე უკეთ რაღა უნდა თქმულიყო: პოეტმა ორად ორი სტროფით დახატა მოსალოდნელი წარუმატებლობა თუ სულაც გარდაუვალი სისხლიანი დასასრული!

ამის მიუხედავად, რიგითი მკითხველების პატივსაცემად, მოდი, აქ მათი სავარაუდო მოსაზრებებიც გავითვალისწინოთ, რაც პოემის პირველი კითხვისთანავე არ შეიძლება, არ გასჩენოდათ!

ჰოდა, ვინმე წარმოიდგენს, ინალიფას თავისი ლურჯა, თანაც ღამით(!) საიმედოდ შემომესრილ-შემორაგვულ ეზო-ყურეს გარეთ, ორღობეში რაღაც აპეურის ნაწყვეტით ეყოლებოდა მიბმული, ამვლელ-ჩამვლელთაგანს, ვისაც კი მოესურვებოდა, უდავიდარაბოდ აეშვა და წაეყვანა?! ჰმ! ღამით კი არა, ცხენი დღისით-მზისითაც სულ საიმედოდ თვალდაჭერილი ეყოლებოდა, თავს რამე მოულოდნელი უბედურება რომ არ დასტყდომოდა!

ჩემი სიმტყუნისთვის, თუგინდ ლერმონტოვის ,,ჩვენი დროის გმირები“ გაიხსენეთ: პეჩორინმა აზამატს კაზბიჩის ყარაგიოზა რა ვითარებაში გაატაცებინა და მერე ამას უდანაშაულო ბელას სიცოცხლე რომ ემსხვერპლა!

ცხადია, თავმომწონე ინალიფას – კარგად რომ ეცოდინებოდა, მის საარაკო ლურჯას ასი თვალი უყურებდა! – თავლაში ან ახორში საიმედოდ დაბმული ეყოლებოდა და, ალბათ, ჯაჭვითაც დადუშაყებული!..

ახლა ერთი წუთით ცხენს მოვეშვათ და ერთი ესეც ვიკითხოთ: თავადსა თუ თავადიშვილს, ინალიფას რანაირი კარ-მიდამო ექნებოდა ან როგორი უნდა ჰქონოდა – ღატაკი მეკომურივით აშარავებული და სოფლის საქონლისაგან გაბილიკებული თუ მაღალი ღობითა და მკვიდრი ხირხალით დაცული, სადაც პატრონის უნებართვოდ ჩიტიც რომ ვერ გადაფრენილიყო?!. ესეც უეჭველად გასათვალისწინებელია: იმ უნდო დროში, როცა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა ერთმანეთთან ყაჩაღური მიხტომ-მოხტომა და თანაც ასეთი ცხენის პატრონს, ამ ინალიფას, ცხადია, ღამღამობით ხელსატაცად ეწყობოდა ხმალ-ხანჯალი და დატენილი თოფ-დამბაჩები!...

ეეე, კინაღამ მავიწყდებოდა – ძაღლები?! ჰოდა, ქურდს იქიდან ცხენი გაეყვანა კი არა, სულ მცირე გაფაჩუნებასა თუ ღობის ლაწუნზეც კი ნაგეში ქოფაკები ისეთ მედგარ ყეფა-ღავღავს ატეხდნენ, შეიძლება მთვარე გაბზარულიყო!..

გარემოების სრულყოფილად წარმოსადგენად ახლა თავი გავანებოთ ინალიფას ღობეებს, ხირხალს, თოფ-იარაღს, ძაღლებსა და მთელი ჩვენი ყურადღება ამ კუთხით გავამახვილოთ: იმ ამინდარეულ, ბნელ ღამეში უცხოს მოულოდნელი მიახლოებით დაფეთებული, თანაც დაბმული ცხენი – შეიძლება ქურდი ნადირიც რომ ჰგონებოდა, ან უამისოდაც – ისეთ ჭიხვინ-ხვიხვინს, წყვეტებასა და ფლოქვების ბაკუნს ატეხდა, მარტო ძაღლებსა და ინალიფას ჯალაბობას კი არა, მთელ სამეზობლოსაც ფეხზე დააყენებდა – არიქა, ცხენს იპარავენო!!!

ბარემ ის მოსალოდნელი ორიოდე ბრმა შემთხვევაც გავივარაუდოთ, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, რაკი მხოლოდ დაძაბული მოქმედების პროცესშიღა გამოტყვრება ხოლმე!

ჰოდა, ვინ დაგვიდგება თავმდებად, რომ სწორედ იმავე დროს ინალიფას ცხენის მოპარვა სხვას ან სხვებსაც არ ენდომებოდათ?! აბა, ახლა წარმოვიდგინოთ, იმ კუნაპეტ ღამეში, როგორც თვით პოეტი გვეუბნება, ,,რომ არა ჩანს თითი, თვალთან მიტანილი“, უშუალოდ ცხენთან საბედისწეროდ შეჩეხებულ ქურდებს, ვინ იცის, ვის ვინ ეგონებოდა და თავიანთი ასწრაფებულობით შეიძლება ორმხრივი სროლა ანდა ურთიერთკაფვა-ჩეხა გაჩაღებულიყო!

შემდეგ. თუკი იმ საშინელ უამინდობაში საფარ-ბეგი ბათუს მიადგა, რატომ არ შეიძლებოდა, ინალიფასაც ასევე მისდგომოდნენ?! ვინ? უჰ, ვინ იცის: გზად შემოღამებული ჩრდილოკავკასიელი ყონაღები... გზაარეული ნაცნობი მონადირე... ძმადნაფიცი... რაღაც საქმეზე მიმომავალი ნათესავები ან...

ჰოდა, ერთმა ღმერთმა იცის, ისინი სწორედ ცხენის გამოყვანისას რომ წასტყდომოდნენ ერთმანეთს, რა ამბავი დატრიალდებოდა!

ერთი სიტყვით, ჯერ თვით პოეტის დიდოსტატობით, მერე კი გონებაგახსნილი მკითხველების საღი ვარაუდით აქ იმდენი და ისეთ-ისეთი დაუძლეველი წინააღმდეგობები იხლართება, ძალიან ბევრ მკითხველს წინდაწინვე დაჯერება გაუჭირდება: მოსალოდნელი ფათერაკებით სავსე გარემოში რანაირად უნდა მოხერხდეს ინალიფას ეზო-ყურიდან ცხენის გამოტანება და, მით უმეტეს, მისი გამოპარება!.. მაგრამ ჩვენ ვინ რას გვეკითხება, როცა წინასწარ მოფიქრებული მკაცრი სიუჟეტით შეჯაჭვულ ავტორს ასე სურს, პოემის მეორე თავს ცხენის მოსაპარავად გაშურებული ბათუს მოსხლეტილი სურათით რომ აგვირგვინებს!

მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაჰზუის თავზე ქარი.

* * *

მოკლედ, ზღვრამდე ცნობისმოყვარეობადაჭიმული მკითხველი მოუთმენლად ელის კვანძის გახსნას, რათა დროით შეიტყოს - ეს ბათუ ერთი რა ჯადობაზური ონარით შეძლებს ძუძუმტისთვის თავდაჯერებით მიცემული სიტყვის შესრულებას!.. მაგრამ მკითხველის გავარვარებულ მოლოდინს უეცრად ყინულწყალი ევლება, ვინაიდან შემდეგი, მესამე თავი, ვითომც აქ არაფერიაო, არხეინად იწყება.

ირიჟრაჟა, ქარი ჩადგა
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

ერიჰააა!.. ესეც ასე!.. ოლოლო შენ!.. აქ ისე გამოდის, ,,მეგობრისთვის მეგობარი“ თითქოს ინალიფას თითქმის მიუწვდომელ ლურჯას კი არ ,,მოაგელვებდეს“, არამედ ვიღაცის მიერ ტყე-ველად გაგდებულ უკბილებო ჯაგლაგ ჭაკს მოათრევდეს! კი მაგრამ, ავტორმა რიღასთვის ,,მოატყუა“ თავისი მიმნდობი მკითხველები?! პოემაში თუკი არ იქნებოდა ცხენის მოპარვის სუნთქვის შემკვრელი სურათებიც, მაშინ რაღა საჭირო იყო იმდენი მოსალოდნელი ფათერაკებით მკითხველის ,,ფუჭი“ გაბრუება?!

ერთი სიტყვით, იმედგაცრუებულ მკითხველთა გარკვეული ნაწილი, ალბათ, ,,კანონიერ“ საყვედურს წამოისვრის - სად არის ცხენის მოპარვის აკაკისებური პასაჟებიცო?!

სად არის და აქ პოეტმა შეუმცდარი მხატვრული გეშით თავის დროსა და ადგილას მიმართა გამოტოვების ხელოვნებას და, უნდა ითქვას, ეს გენიალურადაც გამოუვიდა!!!

აბა, წარმოვიდგინოთ, აკაკის აქ გამოტოვების ხელოვნებისთვის რომ არ მიემართა და გულმოდგინედ შესდგომოდა ბათუს მიერ ინალიფას ლურჯას მოპარვასთან დაკავშირებული წვრილმან-მსხვილმანების ხატვასაც!

მაშინ სულ შესუსტდებოდა პოემის დედაიდეა, შეკრულობა, ექსპრესია, სიმძაფრე, მხატვრული ხიბლი... ყოველგვარი ფრჩხილების გახსნა მკითხველსაც გააგულგრილებდა!.. ახლა კი, სანამ ჩვენს პლანეტაზე იარსებებს ქართველი ერი და ქართული ენა, ,,გამზრდელის“ ვერც ერთი მკითხველთაგანი ვერასოდეს შეიტყობს, არ ეცოდინება, ბათუმ როგორ გამოიყვანა ინალიფას ცხენი! ის კი არა, ეს თვით ავტორსაც არ ეცოდინებოდა და, ცხადია, ან, ალბათ, არც აინტერესებდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში პოეტის მხატვრული კვლევის საგანი და მიზანია არა ცხენის მოპარვის ოსტატობა, გამომგონებლობა და გაბედულება ანუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი ცხენის ქურდობის (როგორც დღეს მსუბუქი ავტომანქანების ქურდობა!) ყალბი ჰეროიკა და გაცვეთილი პათეტიკა, არამედ ამ ცოდვილი დედამიწის მაცხოვრებლების ზნეობა, ურთიერთგატანა და გაუტანლობა, ნდობა-უნდობლობა, ადამიანთა შინაგანი ბუნების გაუღწეველი უღრანები...

* * *

გასაოცარი ზემოქმედება ახასიათებს ნამდვილი შემოქმედის მიერ გამოყენებულ გამოტოვების ხელოვნებას! სხვისი არ ვიცი, მე კი, თუმც შეიძლება ვცდებოდე და მეჩვენება, მაგრამ ამა თუ იმ დიდი მწერლის ნაწარმოების კითხვისას ბუნებრივად ვხვდები - ავტორმა სად რა და რატომ გამოგვიტოვა!!!

აქ მხატვრული სასწაული იმაში მდგომარეობს, რომ ამ გამოტოვებით თვით ნაწარმოებს არაფერი აკლდება, პირიქით - ეს უფრო მხატვრულ სრულყოფას, შეკრულობასა და აისბერგულ მიმზიდველობას მატებს!

აი, სწორედ ესეცაა მწერლური ტალანტის ერთ-ერთი ნიშანი, ყოველგვარი უსარგებლო და ზედმეტი წვრილმანების თავმომაბეზრებელი აღწერით მკითხველს ნაღველს კი არ უსივებს, არამედ ნაწარმოების დანარჩენი ადგილებით გვახვედრებს - რა იყო გამოსატოვებელი და როგორი მხატვრული ხერხით გამოტოვა! ამიტომ მკითხველი მადლიერი რჩება, რადგან ბრძენი მწერალი მასაც ენდობა და ეიმედება - თავ-თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და მხატვრული გემოვნების წყალობით მკითხველებიც მიუხვდებიან - ავტორმა სად, რა და რა მიზნით გამოტოვა! ამგვარი ნდობით კი გამოცდილი მკითხველი თითქოს თანაავტორი და ნაწარმოებში ასახული ცხოვრების ბუნებრივი მონაწილე ხდება!!!

* * *

გაზაფხულობით დაწვიმულ მინდორზე წვრილ-წვრილი სოკოებივით მომრავლებული ეს ამოდენა ფეხისხმასაყოლილი ავტორები?!. ნეტავი, ისინი როდესმე თუ მიმართავენ გამოტოვების ხელოვნებას? მაპატიეთ, მაგრამ, მოდი, ჯერ ეს ვიკითხოთ - მათ გაუგონიათ კი ტერმინი ,,გამოტოვების ხელოვნება?“ ხოლო გაგონებით თუ გაუგონიათ, მაშინ გააჩნიათ ის შემოქმედებითი ალღო და მხატვრული გაბედულება, როდის და როგორ უნდა მიმართონ ამ ხერხს?! ანდა, თავ-თავიანთ ,,შედევრული“ ტექსტებიდან (გა)ემეტებათ თუ არა რამის გამოტოვება ანუ მათებურად თუ ვიტყვით, ამოგდება და გადაგდება?!

ასე იმიტომ ვმსჯელობ, რომ მათ გრაფომანულად გაჭიანურებულ-გაწელილ ტექსტებს არსად და არაფერში ეტყობა ხოლმე გამოტოვების ხელოვნების მკრთალი ნაკვალევიც კი! თუმცა, სულო ცოდვილო, შეიძლება ისინიც ,,გამოტოვებენ“ ხოლმე რაღაცას, ოღონდ ეს მოსდით არა მხატვრული გამოცდილებით, არამედ რაც ,,კოკისპირულად წერის“ (ეს ტერმინი ერთ-ერთ პროზაიკოს ქალბატონს ეკუთვნის!) პროცესში აღარ წამოაგონდათ და მერე, ალბათ, ნანობენ კიდეც - ეს როგორ გამომრჩაო!!! ამიტომ ეს არის არა მხატვრული ოსტატობით გამოყენებული გამოტოვების ხელოვნება, არამედ ეპიგონური უთავგზურობით რამის გამორჩენა!!!

ყველა დანარჩენ შემთხვევაში ამ ყაიდის ავტორები - მკითხველებს როგორმე თანაგრძნობა რომ გამოსძალონ! - პირდაპირ პროტოკოლური თანმიმდევრობითა და გულშემაწუხებელი ერთფეროვნებით შესწუწუნებენ სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკურ-სოციალური კატაკლიზმებისას თვითონ ავტორისა თუ თავიანთი უმომავლო ნაწარმოებების დაუმახსოვრებელი პერსონაჟების მიერ გადატანილ გაჭირვებაზე... შიმშილსა და სიცივეზე... ყაჩაღთან შეჩეხებაზე... ფეხუცმელობაზე... მავანთა თანამდებობრივ უსულგულობაზე... დიდთოვლობაზე... მგლების შემოსევაზე... ტანჩაუცმელობაზე... თავიანთ საახლობლოსა და კეთილ მეზობლებზე... პირველი სიყვარულის უიღბლობაზე... ერთადერთი მარჩენალი ხბოიანი ფურის მოპარვაზე... მეწისქვილეზე... სტუდენტობის წლებზე და ა.შ. და ა.შ.!

არა, წერა ყველაფერზე შეიძლება, ოღონდ ერთადერთი პირობით - ეს ყველაფერი უნდა იყოს სიუჟეტური აუცილებლობითა და მხატვრული დამაჯერებლობით გადმოცემული და არა მკითხველების თუგინდ ხანმოკლე გულაჩუყებისა და მიმხრობის იმედით გაბმული უნიშანწყლო ღრიჭინი!

ნიკო ახალკაცი

1982 წელს ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შევიტანე განცხადება სტუდენტად აღდგენის თაობაზე. მაშინ უნივერსიტეტის სწავლული მდივანი ეთერ ავსაჯანაშვილი იყო, ძალიან კეთილი და გულისხმიერი ქალბატონი. საბუთების მიღების შემდეგ დერეფნამდე გამომყვა. ამ დროს ჩვენსკენ მომავალი სამი ახალგაზრდა გამოჩნდა და იმანაც მაშინვე მითხრა, რომ ისინი ჩემი თანაკურსელები იყვნენ; ასე გავიცანი ნიკო ახალკაცი, რომელმაც პირველი გაცნობისთანავე, მომხიბლა და მალეც დავმეგობრდით. ერთად ვიქირავეთ ბინა ნაძალადევში, კნოლევის ქუჩაზე, რომელთანაც ერთად გავატარეთ მთელი სტუდენტობა.

მაშინ ძალიან ჭირდა ისტორიული ლიტერატურის შოვნა, მითუმეტეს, ქართულ ენაზე, რის გამოც ერთად ვეძებდით წიგნებს საჯარო ბიბლიოთეკასა თუ სხვა ბიბლიოთეკებში, ნაცნობებ-მეგობრებში, მოკლე დროში ვაკონსპექტებდით და პატრონებს ვუბრუნებდით. ჩვენთვის არ არსებობდა ნაკლებად საყვარელი ან მეორე ხარისხოვანი საგანი, ყველაფერს უდიდესი მონდომებით ვსწავლობდით. ყველა გამოცდაზე პირველები გავდიოდით და უმაღლეს შეფასებასაც ვღებულობდით. ჩვენი ჯგუფელები გვსაყვედურობდნენ; თქვენ შემდეგ ხუთებს აღარ გვიწერენო.

კნოლევის ქუჩაზე სულ სტუდენტებს გვქონდა ბინები ნაქირავები, ყველანი საუკეთესოდ ვსწავლობდით და გამორჩეულებიც ვიყავით. გამოცდების შემდეგ ან რომელიმე თანაკურსელის დაბადების დღეზე კი ლამაზად მოვილხენდით. ნიკოს არ ჰყავდა ბადალი არც სწავლაში, არც მოლხენაში და არც სპორტში (იგი სპორტის ოსტატი იყო კარატეში და მოსწავლეებიც ჰყავდა აყვანილი).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი, შვიდი წლის განმავლობაში, იმ საშინელ 90-იან წლებში, როდესაც მთელ ქვეყანაში შიმშილი, სიბნელე, სიცივე და უიმედობა ბატონობდა, თსუ-ის ახალციხის ფილიალის საერთო საცხოვრებლში ცხოვრობდა, რომლის გულის სითბო ყველას ათბობდა და იმედს უღვიძებდა. ამიტომაც შეიძინა უამრავი მეგობარი.

მე ყოველთვის მაოცებს ნიკოს მიერ დროის განაწილების უნარი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და ყველასადმი მზურუნველობა. ეს თვისებები გამოარჩევდა ყოველთვის მას სტუდენტობაშიც, უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროსაც და, საერთოდ, ცხოვრებაშიც. სწორედ ეს თვისებები გახდა მისი წარმატების საწინდარი.

შეუმჩნევლად გაფრინდნენ წლები; ნიკო ახალკაცი დღეს წარმატებული მეცნიერია ძველი მსოფლიოს ისტორიაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკია, ბრწყინვალე ოჯახის პატრონი და, უბრალოდ, გამორჩეული კაცი.

ვულოცავ ნიკო ახალკაცს 60 წლის იუბილეს და ვუსურვებ დიდ წარმატებებს, როგორიც მის ნიჭსა და უნარს შეეფერება.

ღმერთი იყოს მისი მფარველი!

მეგობრების სახელით,
კობა მეტრეველი

საიუბილეო

ძველ ფოტოალბომს რომ გადავხედავ,
მოგონებებში მივყავარ ფიქრებს,
გამახსენდება კნოლევის ქუჩა
და ორმოც წელში განვლილი სივრცე.

სოფლელი კოხტა გოგო-ბიჭები
ცოდნის მწვერვალებს ვუტევდით ერთად,
ვიგონებ დღეებს სიჭაბუკისას
და უნებლიედ მაწვება სევდა...

ჩვენ გვქონდა ნიჭი და შემართება,
ენერგია კი მართლა ულევი;
ვაძლიერებდით ერთმანეთს ისე,
როგორც მდინარეს ნაკადულები.

ოჰ, რა კარგები იყავით ყველა;
არსენა, ჯონი, გია, ბიჭიკო,
სწავლაში ყველა გამორჩეული,
ისე, ვით კურსზე კობა და ნიკო.

მართალი არის, დაგვფანტა წლებმა,
მაგრამ იმ დღეებს რა დაგვავიწყებს,
საკმარისია ვინმეს ხსენება
და გული ისევ ჭაბუკურად ძგერს!

ნიკო, გილოცავ დაბადების დღეს,
შეგსრულებია სამოცი წელი,
გვერდში უდგახარ უნივერსიტეტს,
მეგობრები კი ვამაყობთ შენით!

ღმერთმა გიმრავლოს შვილიშვილები
და დაგილოცოს ფუძე და ჭერი,
გფარავდეს ყველა სალოცავები,
წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი.

წლები

წლები რა სწრაფად გარბიან,
ო, რა დიდი დრო გასულა!
ის ჩვენი ტკბილი ბავშვობა
გადაქცეულა წარსულად.

მერცხლების ტკბილი ჟღურტული
უდარდელ ნიავს მიჰქონდა,
და ვარდისფერი ოცნება
ფიქრებთან ერთად მიჰქროდა;

ო, რამდენ რამეს ვნატრობდით,
რამდენი რამე გვინდოდა, –
გვინდოდა, ფრთები შეგვსხმოდა,
ვქცეულიყავით ჩიტებად;

ბავშობის ბევრ საიდუმლოს
ცხოვრებამ ფარდა ახადა,
გარდასულ დღეთა სურათი
ფიროსმანივით დახატა...

წლები კი მაინც გარბიან,
მართლაც დიდი დრო გასულა...
რასაც რომ გუშინ ვნატრობდით,
უკვე ქცეულა წარსულად!

კობა მეტრეველი

ბონდო არველაძე – 90

გვეამაყებით, ბატონო ბონდო!



ბატონ ბონდო არველაძეს, თავისი სამშობლოს ერთგულ და მუხლჩაუხრელ მამულიშვილს, 90 წელი შეუსრულდა, ღირსეულად გავლილი ცხრა ათეული წელი...

ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ენათმეცნიერის, არმენისტის, ლიტერატურათმცოდნის, ბონდო არველაძის მოღვაწეობა. მისი შრომები ძირითადად ეძღვნება ქართულ-სომხურ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობას და გამოცემულია ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე. იგი რამდენიმე ათეული ნაშრომის ავტორია („ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, „ვაჰან ტერიანი, ოვანეს თუმანიანი და საქართველო“, „ეღიშე ჩარენცი და საქართველო“, „საიათნოვა“, „ანანია შირაკაცის „სომხური გეოგრაფია,“ „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“ და სხვ.) ბონდო არველაძემ სომხური ენიდან არაერთი ნაშრომიც თარგმნა, დაურთო შენიშვნები და კომენტარები, რითაც უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო მეცნიერებას. თავის ნაშრომებში მეცნიერულად გააჩუქა მრავალი საკითხი. მათ შორის ქართული ეკლესიების საკითხიც. 2014 წელს გამოსცა სამეცნიერო კრებული „დავიცვათ ქართული ეკლესიები –ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორია“. სადაც შემდგენელ-რედაქტორმა თავი მოუყარა აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ავტორის გამორჩეულ პუბლიცისტურ წერილებსა და გამოკვლევებს. წლების განმავლობაში, პრესის ფურცლებზე სისტემეტურად იბეჭდება მისი გამორჩეულად საინტერესო სამეცნიერო ხასიათის სტატიები. ბატონ ბონდოს ნაშრომების დიდი ნაწილი წარმოადგენს მდიდარ წყარო-მასალას საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის კვლევისათვის. მისი თითოეული ნაშრომი არ არის მხოლოდ კარგი სამეცნიერო ნაშრომი, არამედ, განძია, უხვი სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერებითა და წყარო-მასალებით დასაბუთებული.

ბატონი ბონდო დღემდე ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა. ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ნაშრომი და სტატია გამოსცა. ვიტოვებ იმედს, რომ, არ ამოწურულა მისი სათქმელი და ქართულ სამეცნიერო მემკვიდრეობას მომავალშიც ფუნდამენტური ნაშრომებით შეავსებს.

ბონდო არველაძე –ეს სახელი და გვარი მრავლისმთქმელია: პატიოსანი მეცნიერი და პიროვნება, მიზანდასახული და მოწესრიგებული, შრომისმოყვარე და სამართლიანი, თავისი ქვეყნისა და ერის მოყვარული. მომავალი თაობები უნდა იცნობდნენ ღირსეულ მეცნიერს და მის დამსახურებას მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე. მინდა უდიდესი მადლიერება გამოვთქვა იმ სიამოვნებისათვის, იმ სულიერი საზრდოსათვის, რაც მისი ნაშრომებიდან და მასთან თანამშრომლობით მივიღე.

ბატონ ბონდო არველაძეს –ღირსეულ მამულიშვილსა და მეცნიერს, უდიდესი პატივისცემით ვულოცავ იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს.

უფალმა უმრავლოს ასეთი შვილები საქართველოს!

ნატო ყრუაშვილი,
პროფესორი

ღმერთმა დიდხანს გაჩოჩხლოთ, ბატონო ბონდო!

სამშობლო შეიძლება ბევრსაც უყვარდეს, მაგრამ მის წყლულზე მაფიქრალ-დამაშვრალი ადამიანები ისე დაცოტავდნენ, რომ საზოგადოებას ვეღარ გაუგია – ვის ენდოს, რომლის როყიო სიტყვას დაუჯეროს; ზოგი გუშინ რომ ერთს ამბობდა, დღეს სხვაგვარად ჭიკჭიკებს. ამიტომაცაა, რომ ერთმანეთის მიმართ უნდობლობა კატასტროფულად იზრდება და ხვალ რას მოგვიტანს, არავინ იცის.

დღეს კი ერთ-ერთი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული და გამორჩეული ადამიანი, ბონდო არველაძეა, რომელსაც 23 მაისს 90 წელი უსრულდება და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ქვეყნის სამსახურში, უანგაროდ, ბერმუხასავით, კვლავინდებურად, დგას.

ბატონი ბონდო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი არმენოლოგი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე, ათობით სამეცნიერო თუ ლიტერატურული კრებულის, ასობით პუბლიკაციის ავტორია. მის სამეცნიერო შრომებს შორის, სხვა საკვლევ მასალათა გარდა, მისთვის განსაკუთრებული კვლევის საგანია სამცხე-ჯავახეთის ეკლესია-მონასტრები. თითქმის 20 წელია, იგი აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთთან“ და ინტენსიურად აქვეყნებს საინტერესო წერილებს პრობლემურ საკითხებზე.

ბატონი ბონდო არველაძის მესხეთისადმი ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ იგი მისი დედულეთია და მისდამი სიყვარული მასში არასოდეს განელებულა.

მას ახლო ურთიერთობა აქვს სამცხე-ჯავახეთის სამეცნიერო თუ ლიტერატურულ საზოგადოებასთან. მესხეთში გამოცემულ თითოეულ ახალ კრებულს, ხშირად, შესანიშნავი რეცენზიითაც ეხმაურება და იმის ცდაშია, ბევრი მათგანი „ლიტერატურულ მესხეთში“ გამოაქვეყნოს, რითაც დიდი წვლილი შეაქვს გაზეთის ავტორიტეტის ამაღლების საქმეში. აქედან მისი ექვსი სტატია შეტანილია ორი წლის წინ გამოცემულ შესანიშნავ კრებულში „რაც მოვასწარი“.

ბატონი ბონდო არველაძე ყოველთვის გამოხატავს უმცროსი კოლეგების, სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანების მიმართ, უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას, მათ შორის ასაკობრივი ზღვარიც არ არსებობს და უშურველად გადასცემს თავის დიდ გამოცდილებას ახალგაზრდებს. იგი მუდამ მზადაა კიდევ უფრო დაიხარჯოს საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ჩვენო დიდი მეგობარო და ღირსეულო მამულიშვილო! თქვენთან სიახლოვე, თანამშრომლობა, უდიდესი პატივია და გვიხარია, კვლავაც რომ ჭაბუკური შემართებით იღწვით – მარცვალ-მარცვალ გასაღვივებლად დებთ თქვენ ნაფიქრალ-ნააზრევს, რომ აღმოცენებულით ისაზრდოოს ჩვენმა მომავალმა თაობებმა, რათა მარად ახსოვდეთ: მხოლოდ სამშობლოს, საკუთარი ერისა და ოჯახის სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება, – „სულის პურია“ უპირველესი საზრდო ჭეშმარიტ ადამიანად ჩამოყალიბების საქმეში, რომელ „სულის პურსაც“ ეგრერიგად აწვდით ქართველ საზოგადოებას.

დალოცვილი და დღეგრძელი იყავით, ჩვენო დიდო ადამიანო. გვიყვარხართ და გვეიმედებით, ბატონო ბონდო!

ავთანდილ ბერიძე

შესარჩევი ტური ახალციხეში

ახლახან, ახალციხეში, მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საქართველოს ფოლკლორის „ეროვნული ფესტივალი – 2022-ის“ შესარჩევი ტური გაიმართა.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით დაკომპლექტებულმა სპეციალურმა ჟიურიმ, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეებს მოუსმინა.

შესარჩევ ტურში ახალციხის მუნიციპალიტეტიდან ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და საოჯახო ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ხალხური ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები მონაწილეობდნენ.

ფესტივალი ყოველ ხუთ წელში ერთხელ იმართება და მისი მიზანი საქართველოში არსებული ყველა ფოლკლორული ანსამბლის, ინდივიდუალური შემსრულებლის თუ საოჯახო ანსამბლის მოსმენა და აღწერაა. „ეროვნული ფესტივალი – 2022“ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი ორ ტურად გაიმართება. გალა-კონცერტი კი, თბილისში, შემოდგომაზე იგეგმება.

რომა კალანდაძე,
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომელი

„ქმო, არ დაიჯერგეს!“

ვედრება

ნეტავ როდის გვეღირსება, უფალო,
დაწყნარება და სიმშვიდე გულისა,
ნეტავ როდის დასრულდება ზამთარი,
როდის შეცვლის სითბო გაზაფხულისა.

ნეტავ როდის აღარ დავჭამთ ერთმანეთს,
როდის მოვა ჟამი სიყვარულისა,
ნეტავ როდის გაიმარჯვებს წყვდიადზე
სინათლე და სილამაზე სულისა.

ნეტავ როდის, როდის ჩაიფერფლება
ნაღვერდალი ძმათა სიძულვილისა,
ნეტავ როდის დასრულდება ტკივილი
მოძმეთაგან დაკოდილი გულისა.

ნეტავ ყველა მიხვდეს თავის შეცდომას,
დრო მოვიდეს წრფელი სინანულისა
და სრულიად საქართველოს მიწა-წყალს,
მოეფინოს სითბო სიყვარულისა.

ავტორ-მთქმელი ზაურ ჯვარიძე, 75 წლის. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭობარეთი.

სალამი მესხეთს

მოგესალმები ჩემო ტკბილო სამშობლო მხარევ!..

ოცდა-ხუთი წელინადია, რაც შენს მიწა-წყალს გავშორდი... მე შინ ვიყავ ჭაბუკი, ახლა კი მოხუცი!..

აი ის გორაკი, სადაც მე დავრბოდი უდარდელათ.

აი ის ყანა, ჭალა-ველები, სადაც მე დავნავარდობდი.

აი ის ანკარა წყალი, სადაც მე ცქვიტ, წინწკლებიან კალმახს ვიჭერდი. ყოველივე შენი ბორცვი, ხე, მიწა და ქვაც კი ჩემს არსებასთან შეერთებულნი არიან!.. ბუნებავ, შენ ისეთივე კეკლუცი – მომხიბლავი ხარ – როგორც იყავი.

სხვა ბევრი რამ გამოცვლილა: ის შენობანი დაქცეულან, სადაც მე პირველათ თვალი ავახილე. ის ნაცნობნი პირნი აღარ არიან, რომელნიც ჩემ დროს იყვნენ, მათი ადგილი დაუჭერიათ ახალგაზრდებს, მაგრამ რალაცა კავშირსა ვხედავ მათ და ჩემს შორის...

ახალგაზრდებო, ჩემო სამშობლო მხრისანო! იცით თქვენ, თუ რა დიდებულ მხარეს გარგუნათ ცხოვრება ბუნებამ?! სამშობლო რუსთაველისა, თმოგველისა, ბექა აღბუღასი და სხვათა სახელოვან გვამთა!..

სამასი წლის მონობამ ოსმალოს უღელ ქვეშ – ბევრი რამ შესცვალა თქვენში: მოკლა თქვენი სული თავისუფლებისა – სიამაყისა! ამოგგლიჯვათ ტკბილი ქართული ენა, მუსლიმანო ძმანო!.. აწ ოსმალოს მეორეთ შემოსვლისაგან გიხსნათ ჩვენმა რევოლუციენურმა ჯარმა...

ახლა კი დრო არის შეუდგეთ სულითა ამაღლებას, გონებით გაბრწყინებას. კვლავ ავაყვაოთ, ავაღორძინოთ ეს მხარე; აკვანი ჩვენი კულტურისა, აკლდამა გასაოცარი ციხე მონასტრებისა, რომ კვლავ აქედან მოეფინოს მთელ საქართველოს სხივი განათლებისა, ჭეშმარიტი სწავლა-ცოდნისა. მე შევსწირავ ჩემს გამოცდილებას – ცოდნას შენს კეთილ დღეობას – ბედნიერებას!

მე იარაღით ხელში დავიცავ ჩემი სამშობლოს თავისუფლებას!..

აი ამ მხურვალე გრძნობით მოგესალმები, ჩემო ტკბილო სამშობლო მხარევ!..

ტრ. ჟობარელი,
„განახლებული მესხეთი“, N13, 1919 წელი

ლტოლვილთა საკითხი

საქართველოს არც ერთ კუთხეში არ დატრიალებულა ის უბედურება, რომელიც წილად ხვდა ისტორიულად აოხრებულ მესხეთს და ჯავახეთს. მთელი ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის 20 ქართული სოფლები ექვსი თვის განმავლობაში ბინადრობდნენ ბაკურიანის და აწყურის ტყეებში, ღია ცის ქვეშ იყინებოდნენ უსუსური ბავშვები და ულუკმაპუროთ იხოცებოდნენ დედები. დღეს ეს მიდამოები ერთ დიდ სასაფლაოს წარმოადგენენ, სადაც ობლათ გამოიყურებიან დაუსრულებელი ჯვრები საფლავებისა. მესხეთ-ჯავახელთა ტრაგედია ჯერაც არ დასრულებულა. ჯერაც არ დაბრუნებია უბედური გლეხი თავის დანგრეულ სახლკარს, ჯერაც არ დაუნთია კოცონი გაცივებულ კერაზე. დაწყებული ბორჯომიდან, ვიდრე ახალციხე-ახალქალაქამდე მიდიან ყოველ დღე ურმებით და უმთავრესათ კი ფეხით, ექვსი თვის განმავლობაში შიმშილისაგან დასუსტებულნი, ღონე მიხდილნი და მოჩვენების მზგავსი აჩრდილები. ათი წლის ბავშვს გაჭირვებისაგან უკვე დანაოჭებია პირის სახე, არ ულიმის ტუჩები და ცრემლებიც კი გაშრობია. ან რომ იტიროს, ვის შეაბრალოს თავი, ვინ დაუამებს ტკივილებს უპატრონოს, რომელმაც დედ-მამა ტყეში, ობოლ საფლავში დასტოვა და თვით კი მიყვება მეზობლებს და არც იცის, ვინ იქნება მისი პატრონი.

ახალციხის ქუჩებზე მრავალს შეხვდები ობოლ ბავშვებს, ხელ გაშვერილი ითხოვენ საჭმელს და ამ ცივს ზამთარში ფეხშიშველა დატანტალობენ. მაგრამ კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ჯავახეთის სურათი, რომელიც ერთ დაუსრულებელ ნანგრევებს წარმოადგენს და ამ ნანგრევთა შორის ყრია მკვდრები, ხოლო მკვდრების ირგვლივ დაძრწიან ობლები, დაეძებენ დედას, მოუხმობენ მამას. ამაოა ცრემლები, ამაოა ვედრება გაცივებულ ლოდებისადმი. ამ ნანგრევთა შორის აქა იქ თუ ამოდის კვამლი, მოსჩანს მბჟუტავი ცეცხლი. ეს ჯერ კიდევ ცოცხლათ დარჩენილნი, მარა უკანასკნელ აგონიაში მყოფი ჯავახელებია, რომელთა თავზე გადაიარა საშინელმა გრიგალმა, აუწნა ოჯახი, მოსტაცა შვილები, გათიშა ნათესავები და ბედმა კი თითოორორა დააბრუნა ისევ საყვარელ ჯავახეთში, რომელიც დღეს მხოლოდ მგლოვიარე ოჯახს წარმოადგენს.

ყველა ცდილობს ლტოლვილთა გაჭირვების შემსუბუქებას. მთავრობა შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ, თუ სამშობლოში დასაბრუნებელ თანხით, თუ თფილი ტანსაცმელით და გამოსაკვებით. მარა ასეთი ზომები ვერ უშველის ჯავახეთს, ასიათასები ვერ შეუმსუბუქებს მათ მძიმე გასაჭირს. აქ საჭიროა ფართო დახმარება, საჭიროა მთელი აპარატების, ორგანიზაციების ამუშავება, მაზრებში საკვები და საექიმო პუნქტების მოწყობა, ხოლო გაზაფხულისათვის სათესლე ხორბლის, სამუშაო ცოცხალი საქონლის და ხელსაწყოს შოვნა, რომ ცოცხლად გადარჩენილმა ჯავახელებმა მომავალ წლისთვის მაინც შესძლონ თავის გამოკვება.

1 თებერვალს ახალქალაქში მოწვეულია გლეხთა ყრილობა. ცხადია ყრილობის უმთავრეს საგნათ გადაიქცევა ლტოლვილთა დახმარების საკითხი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ყრილობის აზრს მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობა და ლტოლვილ მესხ-ჯავახელებს ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს.

გაზეთი „განახლებული მესხეთი“ 1919 წელი, N1

***

ჩამკონებია სიბერე, –
სულ მზის ჩასვლასა ჰგავსო
და ჩემი ოთახის ჭერი
კუბოს სახურავს ჰგავსო.
ზეწარიც შემომცვეთია,–
უფრო სუდარას ჰგავსო,
აქედან სამოთხის კარი
ნისლ გადაყრილი ჩანსო.
ეს ჩემი პირადობაც ხომ
სამოთხის ვიზას გავსო.
თუ რამე ლექსი დავწერე,
ნახევარს ჩრჩილი ფქვავსო,
პენსიაც ჰა, ჰა, ძლივს მყოფნის
თვალი სვამს, თვალი ჭამსო,
ბებერი ძვლებიც ჩხრიალებს,
ჭიაც ვერ გამოხრავსო.
თუ ლექსებს არ დამიბეჭდავთ,
წერით მოვიკლავ თავსო!

***

გარედან და შიგნიდანაც
კაცი უნდა კაცსა ჰგავდეს,
უცხო ტომელს არ ემონოს,
სხვის მამულში არ ოხრავდეს.
სიმწრის ცრემლით არ მოსთქვამდეს,
ნასუფრალს არ გამოხრავდეს,
შიში არავისი ჰქონდეს,
სტუმარი რომ შინ მიჰყავდეს.
ცოლი სხვაგან არ გაექცეს, –
ბუზის ჭერით არ დაკავდეს,
კაცი კაცსა უნდა ჰგავდეს,
თანაც – ვაჟკაცს ჩამოჰგავდეს.

***

მეხრეე, სადა გაქვს თვალები, –
ულელს შეგვაბი ხარები,
შრომისთვის გამოწვრთნილები,
არა ვართ შენისთანები,
წავალთ, თვალს მოვეფარებით,
პატრონთან გაგეპარებით.

***

ქალი წავიდა, გაფრინდა,
მე აქ უქალოდ მოვხუცდი,
ქმარ-შვილთან ყოფნას არჩია
გადამთიელი მოხუცი.

***

ამ ცხოვრებას რას გაუგებ,
ვისთვის როგორ გავა,
ზოგს რომ თეთრად უთენდება,
ზოგსაც მწარედ, შავად.
ზოგი პეპლად იბადება,
ზოგი კიდევ – ყვავად,
ზოგი კაცად გვევლინება,
ზოგი – ავ-შარ ქალად,
მადლობა ღმერთს, ერთმანეთსაც
ალაგ-ალაგ ვგავართ.

***

ამ ცხოვრებას უშეცდომოდ
ვინც კაცურად გალევს,
მე იმ კაცის სადღეგრძელოს
უყოყმანოდ დავლევ.
ვისაც მეზობელის შურს და
მის ცოლს თვალებს გააყოლებს,
მე იმ კაცთან არ დავჯდები
გულსაც არ გადავაყოლებ.
ვიცი, ბევრი არ მეშლება,
კაცობის მაქვს ნიჭი,
არაკაცთან პურს არ შევჭამ,
არ ვარ მაგის ბიჭი.
ვენაცვალე მის კაცობას
ვინც კაცურად იარა,
თავის დარდი დაივიწყა,
სხვას ურჩინა იარა.
კარგი კაცის სიკეთემ ხომ
უქმად არ ჩაიარა,
ვისაც მოკეთის შეშურდა –
წყევლა-კრულვით იარა.
მექანიზატორი კაცი ვარ,
რით ვარ სხვებზე ნაკლები,
სხვის დაკრულზე არ მივლია,
არც ვარ ჩხუბის ამტეხი.
შურიანმა ვერა მიყო,
ვერაფრით ვერ მაჯობა,
წინაპრებმა მიანდერძეს
ქვეყნად კაცურ-კაცობა.

***

რა საყვარელი ყოფილხარ,
მშველელად შემომეყარე,
შემოხიზნული დარდები,
სულ გარეთ გამომიყარე.
უდაბნოში რომ მომაგენ,
წყარომდე გამომიყვანე,
შველას რომ აღარ ველოდი,
ნაპირზე გამომიყვანე.

***

ერთხელ კურდღელი მანახა
ძაღლო, შენგან დაჭერილი,
ერთხელ მესიჯი მანახა
ქალო, შენგან მოწერილი,
იქნებ სიზმარში გიხილო
გულში მყავდე დაჭერილი,
მზე და მთვარე დაგვნათოდეს,
ჯვარი გვქონდეს დაწერილი.

***

შენი სიყვარული მჭირს,
მე ამის თქმას ვინ მაცლის,
შენი დღეგრძელობა მსურს,
რომ დაგლოცო, ვინ მაცლის.
შენთან ყოფნა მინდა და,
ფეხქვეშ მიწას ვინ მაცლის,
შენთან ყოფნა მინდა და,
გულზე მიწას ვინ მაყრის.
სადაცაა ჩამოთოვს,
თავზე ფიფქებს დამაყრის,
იქნებ გზა მიმასწავლო,
რომ მოვიდე შენამდის.

ავტორ-მთქმელი ზეზვა ბიბილაშვილი, 61 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი იდუმალა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com